

Можно определено заключить, что “застрахованная нация” является условием превращения ее в “торгующую нацию”.

Реализм, изложенный тут, находится в противоречии с конструктивизмом, который защищается исследователями, утверждающими что международные и вообще социальные организации создаются общими идеями и культурами, а не материальными силами. Но даже в экономической науке, на первом месте в экономиксе, роль “сил” (монополии, олигополии и т.д.) никогда не была недооцененной, т.к. реалисты опираются больше на интерес, чем на идентичность.

Несмотря на то, что экономические вопросы стали более важными после эпохи Холодной войны, США, ЕС и Япония не оставили свою военную безопасность недооцененной, а развили ее. Поэтому ошибочно делать очень резкое разграничение между международными экономическими и военными отношениями.

Вопреки тому, что тяжесть, отдаваемая одним или другим отношениям, варьирует с течением времени, оба вида близко связаны, всегда были и будут такими. Хотя и оба типа отношений могут быть разделены аналитически, они не являются изолированными в реальном мире. Связь между экономическими деятельностями и национальной безопасностью реципрочна и останется такой в обозримом временном периоде.

В этом контексте как могут быть сформулированы национальные ценности и интересы на современном этапе и соответственно как должны отстаиваться?

Болгарские национальные ценности и интересы должны быть основным критерием при формулировании и проведении целостной государственной политики, в том числе и в области безопасности и обороны. Они представляют систему интересов болгарских граждан, общества и государства. Интересы болгарских граждан выражаются в реальном гарантировании конституционных прав и свобод, личной безопасности, повышения качества и уровня жизни, социального и здравоохранительного обеспечения.

Интересы гражданского общества находятся в утверждении демократии, гражданского контроля над институтами и свободе объединений, в праве религиозных, этнических и меньшинственных групп, в сохранении национальных духовных и культурных ценностей и традиций. Интересы государства требуют защиты Конституции, суверенитета и территориальной целостности

страны, экономического процветания, строгого соблюдения правового порядка, равнопоставленности и взаимовыгодного международного сотрудничества.

Оборона представляет основную часть национальной безопасности и представляет систему деятельности по укреплению мира и безопасности, по сохранению национальных ценностей и для поддержки вооруженных сил, экономики и населения в готовности для действий, а также и для действий в условиях кризиса и во время войны.

Исключительным значением для национальной безопасности является утверждение Болгарии как ключевого политического фактора в Юго-Восточной Европе, как экономического, инфраструктурного и культурного центра, а также и в поддержке и развитии научного и технологического потенциала страны. Интеграция страны в европейские и евроатлантические структуры представляет естественный процесс присоединения к сообществу с разделенными ценностями при сохранении собственной идентичности.

Болгария должна преследовать и защищать свои национальные интересы при полном уважении международного порядка, мира во всем мире и безопасности, в соответствии с общечеловеческими ценностями, принципами международного права и справедливости.

Главным условием реализации национальных интересов является сохранение возможностей страны самостоятельно решать свои внутренние политические, экономические и социальные проблемы, а также и самой улаживать отношения с другими государствами и сообществами.

Болгарские национальные интересы образуют сложную систему иерархических взаимосвязей и зависимостей. Реализуя национальные интересы, цели и приоритеты, государство на практике обеспечивает свою безопасность. Национальная безопасность налицо, когда защищены основные права и свободы болгарских граждан, не существует опасность угрозы извне и гарантировано демократическое функционирование государственных и гражданских институций, в результате чего общество и нация повышают свое благосостояние и прогрессируют.

Государственное руководство в принципе должно формулировать и осуществлять политику страны в соответствии со стратегическими приоритетами, целями и интересами. Внутренняя и

внешняя политика, в том числе и политика безопасности и обороны, являются основным инструментом для материализования активной позиции Болгарии в контексте глобальных, региональных, двусторонних и внутригосударственных взаимодействий и процессов.

Отчитывая изменения в стратегической среде, динамике процессов в политической, экономической, военной, социальной, информационной и других сферах, растущей взаимозависимости, но в тоже время и дифференцированности в глобальном масштабе, Болгария стремится гарантировать свою безопасность, без угрозы интересам других государств и считая право на безопасность каждого государства и возможность для ее осуществления как предпосылка для всеобщей безопасности.

Основной интерес и приоритет для страны представляет наше членство в Европейском союзе и НАТО как естественная среда развития. Усиливающееся сотрудничество и интеграция в региональные, европейские и глобальные структуры имеет существенное значение и не противоречит стремлению к сохранению и утверждению национальной идентичности.

Республика Болгария должна рассматривать свою национальную безопасность в прямой связи с региональной и европейской безопасностью, при этом стабилизация Юго-Восточной Европы представляет национальный, региональный и общеевропейский интерес. Региональное сотрудничество, однако, не может и не должно замещать европейскую и евроатлантическую интеграцию.

Политика безопасности и обороны Республики Болгарии основывается на принципах на равнопоставленности сторон и взаимного уважения интересов, сотрудничества и интеграции. Это предполагает сочетание мер для активного формирования благоприятной международной среды, для управления кризисов различного характера и для обороны страны, а также и для разделения ответственности за укрепление мира и безопасности, включая и через генерирование безопасности посредством конкретных инициатив, программ, концепций и стратегий.

Вооруженные силы как один из инструментов политики безопасности и обороны является основным гарантом суверенитета, независимости, безопасности и территориальной целостности страны. Они представляют фактор для достойной интеграции Республики Болгарии в европейские и евроатлантические струк-

туры безопасности и регионального сотрудничества.

Независимо от отсутствия непосредственной военной угрозы, Болгария должна быть готова не только дать адекватный ответ на вызов, но и активно работать по формированию среды в соответствии с национальными интересами и интересами международной общности в целом. Так государственная политика обеспечивает реализацию намеченных целей и отводит причитающееся Болгарии место в международной системе безопасности.

У защиты национальных интересов есть и экономические измерения. До тех пор пока население уменьшается, пока уменьшается число служащих в службах безопасности (армия и полиция), до тех пор будет необходимо поддерживать растущие темпы развития и соответственно вкладывать больше инвестиций в экономические деятельности Министерства обороны, которые компенсировали бы эти уменьшения.

Что касается роли соотношения “местное производство – импорт”, оно, к сожалению, не описано в наших стратегических документах даже как тенденция, вопреки тому, что является существенным элементом в процессе целостной трансформации вооруженных сил и осуществление их модернизации, в рамках предусмотренного уровня численности Болгарской армии и основных образцов вооружения и техники.

Модернизация как жизненно необходимый элемент трансформации вооруженных сил требует предоставления значительных ресурсов, достигающих до 20-25 % годовых расходов на оборону, потому что баланс между численностью трансформирующихся вооруженных сил и их модернизации может быть осуществлен единственно при соблюдении принятых обязательств относительно расходов на оборону в указанный период.

Основным принципом при осуществлении модернизации должен быть принцип рационального использования возможностей национального специального производства в контексте международной интеграции на взаимовыгодной основе и создании стратегических отношений с мировыми корпорациями из стран - членов НАТО и ЕС.

Участие компаний и предприятий Министерства обороны в модернизации вооруженных сил должно осуществляться в условиях прозрачности требований и обеспечения конкурентности, таких как:

- ✓ исполнители проектов по модернизации в областях, в которых Республика Болгария имеет производственный и технологический потенциал;
- ✓ подисполнители международных компаний, реализующих проекты по модернизации;
- ✓ основные подпоставщики при реализации офсетных программ, сопутствующих реализации проектов по модернизации вооруженных сил.


Мы считаем, что это является существенной слабостью при формировании целостной как оборонительной, так и экономической стратегии. По этой причине необходимо рассмотреть отдельно функции государства и функции экономических деятельностей Министерства обороны как будущие основы реформ. Как было доказано, до этого момента предприятия и деятельности в этом секторе чаще всего оставлены на “свободе”, если не считать некоторые государственные заказы.

В этом ли выражается и таковой ли должна быть роль государства? Такова ли и таковой ли должна быть роль предприятий? Таковыми ли должны быть экономические деятельности Министерства обороны?

Очевидно, что сильно централизованная система управления при старой системе имела и свои преимущества, но и свои существенные слабости. Преимущества заключались в быстром и оперативном маневрировании ресурсами, которые (также государственные) легко подлежали рациионированию и контролю (Понятие “*рациионирование*” используется многократно в трудах акад. Евгения Матеева. В него он вкладывает следующий смысл: центр управления при стаой системе определяет некоторый объем или долю некоторых благ (кадры, финансовые ресурсы, материальные блага, оборотные средства и пр.), которые (согласно центра) должны быть “достаточными” для осуществления деятельности подчиненного звена, особенно если оно разкрывает “резервы”). Недостатки проявлялись в отстствии достаточной мотивации для введения инноваций и рационального использования ресурсов. В свою очередь, новая система крайней децентрализации вызвала сильный интерес к производству рентабельной продукции, дезинтересованность к низкорентабельной и (как это не странно) воздержание от инноваций и одна из основных слабостей и причин неуспеха такого типа предприятий является слабый маркетинг или вообще его отсутствие.

Но ни старая система сильной централизации, ни новая система крайней децентрализации дали необходимые решения (Фигура № 1).

Фигура № 1



Но при ясно поставленной цели – создание продуктов и услуг для поддержания и развития нужд безопасности, при этом при рыночной экономике, особенные функции государства и руководителей экономических деятельностей Министерства обороны становятся более ясными. Но более чем очевидно, что обе стороны (государство и предприятия) должны осуществлять маркетинг, который можем назвать рабочим понятием **“маркетинг безопасности”**.

ლიტერატურა:

1. Гилпин, Р., *Глобальная политэкономия: понимание международного экономического порядка*. Издательство им. “Дамяна Якова”, С., 2003

Nikolay Tsonev

New role of the state in protection of national interests through formation of steady safety

Summary

Although economic issues became more important after the Cold War, many leading countries did not underestimate military security, but rather developed it, so it is wrong to make too sharp distinction between international economic and military relations, because although the

burden attributable to one or the other relationship varies over time, the two types are closely connected, and can not be isolated in the real world.

The report focuses on the problems facing the process of formation of sustainable security in the country strongly influenced by the imposed model for a full exemption of state guardianship to manufacturers and traders in the defense system.

The transition to marketing management of economic activities of the Ministry of Defense in the conditions of formation and development of a functioning market economy, currency board and even greater opening of the national economy while dynamism and development of the commitments of Republic of Bulgaria to the European Union and NATO is an issue whose depth analysis will allow to propose measures that have a positive impact on our national security.

Keywords: state policy, strategy, political science, security, marketing, defense.

**ჯანმრთელობის დაცვის განვითარების
ისტორიიდან აჭარაში**

(XIX საუკუნის 80-90-იანი წლები)

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში შემოსულ რუსეთის ჯარს თან შემოჰყვა სამედიცინო-სანიტარული ქვედანაყოფი, რომელმაც კარვები დადგა ახლანდელი წმ. ბარბარეს ეკლესიასთან მდებარე ტერიტორიაზე. სამედიცინო ქვედანაყოფების რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა №64 სამხედრო ჰოსპიტალი.

ჰოსპიტალი, გამონაკლისის სახით სამედიცინო დახმარებას უწევდა მხოლოდ მოსახლეობის პრივილიგირებულ ფენას. ეს იყო პირველი სამედიცინო დაწესებულება ბათუმში. მანამდე იგი არ არსებობდა (აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით აცსა), ფ.1, აღწ.1, საქ. 898, ფურც.24).

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ბათუმს მცირე ადგილი ეკავა. მის ირგვლივ მიმდებარე 500 დესეტინა, ფართო ჭაობით იყო დაფარული, რომელსაც სამხრეთიდან კახაბრის მაღლობი ესაზღვრებოდა, ჩრთილოეთიდან-ქალაქი და ზღვის სანაპირო, აღმოსავლეთიდან მდინარე ბარცხანა და დასავლეთიდან-მდინარე მეჯინა-სუ.

დაჭაობებული ადგილები ანტისანიტარიის ბუდეს წარმოადგენდა, ამიტომ სისტემატიურად მძვინვარებდა მალარია და სხვა ეპიდემიური დაავადებანი. გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა ბათუმში ახლად შექმნილმა რუსულმა მთავრობამ, 1880 წელს, ქალაქის მოსაზღვრე მიწებზე აკრძალა ბრინჯის თესვა, რათა თავიდან აეცილებინათ წყლის დაგროვება მიწის ზედაპირზე.

ჭაობების დაშრობით დაინტერესდნენ რუსი და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთა ზეგავლენით მთავრობამ 1879 წლიდან გადაწყვიტა დაენყო დაჭაობებული ადგილების ამოშრობა. საჭირო იყო თანხები, რომელიც ბათუმის საზოგადოებრივ საკრებულოს არ გააჩნდა. ბოლოს გამოინახა 350 ათასი მანეთი, ამას შეუერთდა სამხედრო უწყება, რომელიც დაინტერესებული იყო იმ დაჭაობებული ადგილების ამოშრობით, რომელიც მათ ბატარეას ესაზღვრებოდა.

ამოსაშრობი სამუშაოების ჩატარება დაევალა აუცილინსკის. მან შეადგინა ჩასატარებელი სამუშაოების საერთო გეგმა, შესრულება კი დაევალა ინჟინერ იონკინს (აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.1, აღწ.1, საქ. 898, ფურც. 29-30).

პირველი მაგისტრალური არხი ჭაობის დასაშრობად გაიყვანა ჟილინსკიმ 1882 წელს. არხი იწყებოდა მდინარე მეჯინასუ-დან (მეჯინისწყალი), დასავლეთიდან მდებარე მდინარე ანგისიდან მდინარე ბარცხანამდე.

ყველაზე დიდი დრო და თანხა წაიღო ე. წ. პატარა ტბის ამოშრობამ, რომელიც თითქმის ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. ამ ადგილის ამოშრობის შემდეგ აშენდა ქართული და ბერძნული სკოლები, თავად მაჭუტაძის, ასევე ბათუმელების კაკაბაძისა და საბახტარაშვილის ხე-ტყის საწყობები, კათოლიკური ეკლესიის ნანაილი და სხვა. აღნიშნული პატარა ტბის ამოშრობა დაიწყო 1889 წელს და დამთავრდა 1890 წელს. სამუშაოები დაჯდა ოცი ათას მანეთამდე.

დღევანდელი ჭავჭავაძის ქუჩის იქეთ ტერიტორიებს "ჭაობს" ეძახდნენ. აქ ზამთარ-ზაფხულ სიბინძურე იყო. ალბათ ამიტომ ქუჩებსაც შესაფერისი სახელები "გრიანაია", "ბალოტნაია" და სხვა ჰქონდა. წვიმიან ამინდში ხალხი ამ ადგილებიდან ნავებით გამოდიოდა. ეს ტერიტორია საცხოვრებლად ვარგისი რომ ყოფილიყო, საჭირო იყო შედარებით პატარა სიგრძის არხების გაყვანა და ჟილინსკის მთავარ არხისთვის მიერთება. გაყვანილ იქნა ანდრეევის, პავლოვსკისა და ივანოვსკის არხები, შეტანილი იქნა ქვიშა-ქვა. ეს სამუშაოები 150 ათასი მანეთი დაჯდა.

ჭაობის დაშრობასთან ერთად, ბათუმში დაიწყო სამკურნალო დანესებულებათა მშენებლობა. 1880 წელს დაისვა საკითხი ოთხოთახიანი ქსენონის გახსნის შესახებ, მაგრამ უსახსრობის გამო მაშინ ეს არ მოხერხდა (აცსა, ფ. 1. საქ.901, ფურც.12).

1887 წელს სასამართლო-სამედიცინო ექიმის ა. შეფერის ინიციატივით ვოზნესენსკის (ახლანდელი პ. მელიქიშვილის ქუჩა) ქუჩაზე გაიხსნა 25 საწოლიანი ქსენონი. პროექტი შეადგინა გრიგოლ ალიბეკოვმა. ქსენონი შედგებოდა 5 ოთახისაგან. მას ხელმძღვანელობდა ა. შეფერი. 1892 წელს იგი ქოლერამ იმსხვერპლა და მის ადგილზე მოიწვიეს ექიმი ტიმოლეონ ტრინ-

ტაფიდილისი, ქირურგ-კონსულტანტად ექიმი გრ. ელიავა, ხოლო შემდეგ ექიმი კ. მხეიძე.

1890 წლისთვის ქსენონში სანოლთა რაოდენობა იყო 70, აქედან 50 ადგილი მამაკაცებისათვის, ხოლო 20 ადგილი კი ქალებისათვის (აცსა, ფ. 1. საქ.901, ფურც.22).

ქსენონი პრიმიტიული სამკურნალო დაწესებულება იყო, ვერ აკმაყოფილებდა მინიმალურ მოთხოვნილებებს, რის გამოც დაისვა საკითხი კეთილმოწყობილი საავადმყოფოს გახსნის შესახებ.

საავადმყოფოს მშენებლობის საკითხი დააჩქარა იმანაც, რომ 1896 წლის დასაწყისში დაიწვა ქსენონის მთავარი კორპუსი. იმავე წლის თებერვალში, ქალაქის თვითმართველობის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება ბათუმში საავადმყოფოს აშენების შესახებ. გამოიყო მიწის ნაკვეთი, დაახლოებით 6 ათასი კვ.საჟენი, ტბა ნურიგელის სამხრეთ სანაპიროსთან. პროექტის შედგენა დაევალა გუბერნიის ინჟინერ აპიშკოვს, ქალაქის არქიტექტორს კანდილოვს და სამხედრო ინჟინერ სედელნიკოვს. ვადა მიეცათ 3 თვე. საავადმყოფოს საძირკველი ჩაიყარა 1899 წლის 14 მარტს, ხოლო ექსპლოატაციაში შევიდა 1902 წლის 3 ოქტომბერს.

საავადმყოფო შედგებოდა ხუთი ერთსართულიანი შენობისაგან, რომლებშიც მოთავსებული იყო შემდეგი განყოფილებები: თერაპიული, ქირურგიული, ინფექციური, ვენერიული, სამშობიარო-გენოკოლოგიური და ფსიქიატრიული. მეექვსე იყო ადმინისტრაციული შენობა. საავადმყოფოს ჰქონდა აგრეთვე სამზარეულოს, სამრეცხაოს, თეთრეულის საწყობისა და მორგისათვის საჭირო შენობები (აცსა, ფ. 1. საქ.901, ფურც.27).

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, ქალაქის საავადმყოფოს შენობაში გაიხსნა სამხედრო ჰოსპიტალი, ხოლო თვით საავადმყოფო გადატანილ იქნა კომაროვის (დღევანდელი დიმიტრი თავდადებულის) ქუჩაზე მდებარე ქართულ და ბერძნულ სკოლების შენობებში.

1918 წლის აპრილში, აჭარაში თურქების შემოსვლის წინა დღეებში, ქალაქის საავადმყოფო ფოთში გადავიდა. საავადმყოფოს შენობაში თურქების ჰოსპიტალი მოეწყო. იმავე წელს ბათუმსა და მის ახლო რაიონებში იფეთქა პარტახტიანი ტიფის

ეპიდემიამ. ამ გარემოებამ თურქეთის ხელმძღვანელობა აიძულა დათანხმებოდა ბათუმში დარჩენილ ქართველ და რუს ექიმთა მოთხოვნას საავადმყოფოს გახსნის შესახებ. 1919 წლის დასაწყისში ქუთაისის ქუჩაზე, ყოფილ სასტუმრო "იმპერიალის" შენობაში გაიხსნა საავადმყოფო ქირურგიული, თერაპიული და ძირითადი ინფექციური განყოფილებებით.

1919 წლის დეკემბერში ქალაქის საავადმყოფო დაუბრუნდა თავის შენობას, რომელიც გაძარცვული და გაპარტახებული იყო. აღნიშნული საავადმყოფო ამჟამად ქალაქის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოა (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემოკლებით სცსსა), ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.66).

1897 წელს შეიქმნა ექიმთა საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე იყო მ. ფენსტერი. საზოგადოება ატარებდა კვლევით სამუშაოებს, კონფერენციებს, აქვეყნებდა შრომებს, ანგარიშებს, ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა. იგი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ქალაქის სამედიცინო ცხოვრებაში.

მიუხედავად ჭაობების ამოშრობისა, მალარიის ეპიდემია, მართალია შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც მძვინვარებდა. განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობაში. ამიტომ ბათუმის ექიმთა საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა სამალარიო კომისია, თავმჯდომარე იყო ექიმი ს. სოლოვკინი. წლების მანძილზე კომისია შეძლების მიხედვით ებრძოდა მალარიის ეპიდემიას.

პროფესორ ე. მარცინოვსკისა და ცნობილი ქართველი მეცნიერ-პარაზიტოლოგის პროფესორ ს. ვირსალაძის დახმარებითა და ს. სოლოვკინის უშუალო ხელმძღვანელობით, 1913 წლის 12 მაისს, ბათუმში გაიხსნა მთელ რუსეთის იმპერიაში პირველი სამალარიო სადგური. სადგური უფასოდ ემსახურებოდა მალარიით დაავადებულ ღარიბ მოსახლეობას. თვეში საშუალოდ 1500-2000 ავადმყოფს უწევდა მომსახურებას (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.75).

ამავე პერიოდში ბათუმში გაიხსნა ტროპიკული ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ს. ავალიშვილი. ინსტიტუტი ეწეოდა კვლევით მუშაობას მალარიისა და სხვა ეპიდემიური დაავადებების შესწავლის მიზნით. ტროპიკული ინსტიტუტის

შენობაში შემდეგ გაიხსნა ქალაქის №1 საავადმყოფო.

გარდა მალარიისა, ბათუმში აღინიშნებოდა ტუბერკულოზით დაავადების მრავალრიცხოვანი შემთხვევები. ამიტომ შეიქმნა კავკასიის საზოგადოების ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ბათუმის განყოფილება. იგი უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას. განყოფილების თავმჯდომარე იყო ე. რომანოვსკაია-რომანკო.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმში იყო 36 ექიმი, 20 ბე-ბია ქალი, ფერშალი. ასევე ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია და აფთიაქები, რომლებიც ეკუთვნოდათ ვიტუშკინს, პეტკევიჩს, ელიაშვილს, კანდელაკსა და ნიკიტინს (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც. 83).

ბათუმმა თავიდანვე მიიქცია უცხოელთა ყურადღება თავისი გამორჩეული კლიმატური პირობებით, ხელსაყრელი ზღვისპირა მდებარეობითა და ჯანსაღი ჰავით. მდიდარი მწვანე სამოსელი ის ფაქტორი იყო, რომელმაც ბათუმი და მისი გარეუბნები კურორტად აქცია.

მართალია, ბათუმი პირველ რიგში სატრანსპორტო-სამრეწველო ქალაქი იყო, მაგრამ ამ ფუნქციასთან ერთად, საყურადღებოა მისი საკურორტო დანიშნულებაც. პროფესორ ა. კრასნოვის თქმით, ბათუმი ევროპის ერთადერთი რაიონია, რომლის კლიმატიც ახლოსაა არა მარტო ტენიანი სუბტროპიკული ქვეყნების, არამედ ტროპიკების ცხელი ქვეყნების კლიმატთან. ეს ნამდვილი ბუნებრივი ორანჟერიაა სუბტროპიკული მცენარეებისათვის.

1911 წელს, ს. სოლოვკინის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ბათუმის საკურორტო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც თვითონვე იყო. მან შეისწავლა მხარის შესაძლებლობები კურორტების განვითარების საქმეში და ბევრი კარგი თეორიაც წამოაყენა.

მანამდე კი, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისთანავე, ბათუმის მიდამოებისაკენ ულევ ნაკადად დაიძრა ზედმეტი მოგების სურვილით გატაცებული რუსი და უცხოელი მილიონერები, მსხვილი ვაჭრები და მოაგარაკენი. ისინი მუქთად იძენდნენ მიწებს და აშენებდნენ აგარაკებს. პირველად ეს აგარაკები

გამოყენებული იყო დასასვენებლად, შემდეგ კი შემოსავლის წყაროდ იქცა. ხდებოდა მათი გაქირავება, იჯარითა გაცემა.

რუსეთის ჩინოვნიკები ხელს უწყობდნენ უცხოელთა, განსაკუთრებით რუსების ჩამოსახლებას ბათუმსა და მთელს აჭარაში. მწერალი დავით კლდიაშვილი წერს: „ბათუმში კი უფრო ნელი სპეკულაცია იყო მიწების, რადგან პორტო - ფრანკოს არსებობა აშინებდათ ერთგვარად. მაგრამ აქაც ჩნდებოდნენ გაბედულები და იძენდნენ ადგილებს, განსაკუთრებით აფხაზებისაგან, რომლებიც სტოვებდნენ თავიანთ ფაცხებს და მიემურებოდნენ ოსმალეთისაკენ საცხოვრებლად” (დ. კლდიაშვილი, 1984:21).

ბათუმში მცხოვრებ უცხოელებს თავიანთი აგარაკებიც ჰქონდათ. მაგ. „ორთაბათუმის მხარეს იყო სილამაზითა და სიმდიდრით განთქმული ნობელის აგარაკი, რომელიც შემდეგ იჯარით გაიცემოდა. ე. წ. თამარის დასახლებაში იყო ილიჩევსკის, უშაკოვის, პრიაშნიკოვის ლამაზი აგარაკები, რომელთაც რუსული „ტერემას“ ხელი ჰქონდათ. აქვე იყო საბახტარიშვილის, სინიცინის, ლოპატის, გაიდამკინის და სხვათა აგარაკები. სოუქსუზე ყურადღებას იქცევდა დიადუშისა და მელიას აგარაკები. დიადუში პრაქტიკოსი მებაღე იყო. მას მისი მამული - 7 დესეტი-ნა მიწა, ბაღნარად ჰქონდა ქცეული”.

რუსი დაკნინებული ჩინოვნიკები კი ცხოვრობდნენ ე.წ. ”ხოლოდნაია სლობოდას” დასახლებაში, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი სატვირთო რკინიგზის სადგურის იქეთ. მათთან ერთად ცხოვრობდნენ წვრილი მოხელები და მუშები. ზოგიერთ მათგანს ჰქონდა საკუთარი სახლი, ხოლო დანარჩენები ცხოვრობდნენ მუშათა ბარაკებში.

იმისათვის, რომ ბათუმი საკურორტო ქალაქად ქცეულიყო, პირველ რიგში უნდა მოწესრიგებულიყო სანიტარული მდგომარეობა, დაგვილ-დასუფთავებულიყო ქუჩები, მოწესრიგებულიყო საკანალიზაციო სისტემა, დაწესებულიყო კონტროლი სასმელ წყალზე, პროდუქტებზე და ა. შ.

ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ნაგვის გატანა ქალაქგარეთ ბათუმში დაიწყო 1888 წლიდან. მისი დასუფთავებისა და გალამაზებისათვის აუცილებელი იყო ქალაქის ცენტრში არსებული სასაფლაოს გატანა, რომელიც მდებარეობდა დღევანდე-

ლი რკინიგზის სადგურის ადგილზე და ანტისანიტარიის ბუდეს წარმოადგენდა. ამიტომ ჯერ კიდევ 1879 წლის ოქტომბერში, ქალაქის მინისტრომელ პესკოვს დაევალა ქალაქგარეთ, შესაფერის ადგილზე დაეპროექტებინა სამი სასაფლაო: ქრისტიანული, მუსლიმანური და ებრაული, მაგრამ ეს არ შესრულებულა. ბოლოს აირჩიეს ადგილი სოუქ-სუზე. გაყვანილი იქნა გზა, რომელიც კეთილმოეწყო 1889 წლისათვის. ახალგაყვანილ გზას დერვიშ ფაშას გზას ეძახდნენ, შემდეგ სასაფლაოს ქუჩას (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.94).

ასე თანდათანობით იწმინდებოდა, შენდებოდა და ჯანმრთელდებოდა ქალაქი ბათუმი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით აცსა), ფ.1, აღწ.1, საქ. 898, ფურც. 24. 29-30
2. აცსა, ფ.1. საქ.901, ფურც.12, 22, 27
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემოკლებით სცსსა), ფ. 418, აღწ.1, საქ.135, ფურც.66, 75, 83, 94
4. დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ.,1984

Otar Gogolishvili

From the history of the public-health service in Ajara

Summary

On 25 August, 1878 the Russian troops entered the town of Batumi. The part of the Russian troops was the military medical-sanitary unit. The tents of the military medical-sanitary unit were situated on the place that is now occupied by the church of Saint Barbara. Soon it was decided to build a hospital on the same place. Shortly the military medical-sanitary unit was transformed into the military hospital #64. That was the first medical institution in the whole Adjara. It was decided to organize the public-health service in Adjara. The canals were

excavated to irrigate swamps, for example, so called Jilin ski Canal. On 1887 the first civil medical institution in the whole Adjara for the 25 persons was built. On 3 October, 1902 the first hospital in the whole Adjara was established by the decision of the self –governing body of Batumi. On 12 October, 1913 the first medical station against malaria in the whole Russian Empire was established in Batumi. This medical station against malaria served the local population at no cost. In the same 1913 year the tropical institute began functioning with the aim to study scientifically the causes of the epidemic diseases. In 1897 the medical society of the doctors of Batumi was organized. The first president of this society was M. Fencer. This society played a great role in the medical life of the whole Adjure. The medical society of the doctors of Batumi established a library that was one of the richest libraries in the whole Russian Empire.

**ბათუმი შუა საუკუნეებში
(XII - XV სს.)**

ბათუმი მიეკუთვნება იმ იშვიათ ქალაქთა რიგს, რომელსაც უწყვეტი საქალაქო ცხოვრების 2500 წლოვანი ისტორია აქვს და დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბათუმის წარსული სათავეს იღებს ანტიკური ხანიდან (სახელწოდება წარმომდგარია უძველესი ქართული სიტყვისაგან – „ბათ“/„ბაჩ“ (ყაუხჩიშვილის., 1950-1951:17-23; ინაიშვილი ა., 1976 :73-87; ყაუხჩიშვილი თ., 1987: 115-116; ქალდანი მ., 1983 : 85)

თავდაპირველად იგი გაშენებული იყო მდ. ყოროლის-წყლის შესართავთან ბათუმის (თამარის) გორასა და მიმდებარე ტერიტორიაზე (ინაიშვილი ა., 1966; ყაუხჩიშვილი თ., 1987, 109-107; კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., 1989; კახიძე ა., 2007:248-249; მამულაძე შ., უზუნაძე რ., 2009:158). ბერძნულ წყაროებში ბათუმის შესახებ ცნობები გვხვდება ძვ.წ. IV ს-დან „ბათუს“, „ბათეას“ ფორმით (ყაუხჩიშვილი ს., 1950-1951:17-23; ყაუხჩიშვილი თ., 1987:112-114). ასევე ბათუმთან დაკავშირებით ცნობები დაცულია რომაულ წყაროებში. რომაელი სწავლული და სახელმწიფო მოღვაწე გაიუს პლინიუსი მიუთითებს მდ. ბათის (Bathus). იქვე იხსენიება ქალაქი მათიუმი (Matium). იგი გაიგივებულია „ბათუს“, „ბათეა“-სთან (ყაუხჩიშვილი თ., 1987:113). ბათუმის მოხსენიება ქალაქად მეტყველებს მის დაწინაურებულ მდგომარეობაზე.

ანტიკურ და ელინისტურ ხანაში იგი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი (მესხია შ., 1983:52; ხახუტაიშვილი დ., 2007:399,415; ვაშაკიძე ნ., 2007:298-299).

ბათუმში საქალაქო ცხოვრება მნიშვნელოვან წინსვლას განიცდის განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში. ამ პროცესს ხელი შეუწყო XI ს-დან საქართველოში სოციალურ-ეკო-

ნომიკური ცხოვრების აღმავლობამ (უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., 2013:15). ასევე მნიშვნელოვანი იყო გარე ფაქტორის როლი. XI ს-ის მეორე ნახევარში წინა აზიაში თურქ-სელჩუკებმა მთლიანად გადაკეტეს საქართველოდან ბიზანტიაში მიმავალი სახმელეთო გზები. რამაც საქართველოსა და ბიზანტიას შორის საზღვაო ურთიერთობა ქალაქ-ნავსადგურების, მათ შორის ბათუმის (ბათომის) მეშვეობით კიდევ უფრო ინტენსიური გახადა (ბერაძე თ., 1981:16; მისივე, 1989:72). ამას დაემატა ისიც, რომ თურქ-სელჩუკთა წინა აზიაში გაბატონებამ და გამუდმებულმა რბევა-თარეშებმა გამოიწვია მსოფლიო სატრანზიტო გზის (“აბრეშუმის გზა”) საქართველოში გადმონაცვლება. მისი ერთი შტო გადიოდა ბათუმზე (მასხარაშვილი ს., 2006:131; უზუნაძე რ., 2009:573).

ბათუმი დიდად დანინაურდა XII-XV ს.ს-ში. განსაკუთრებით დავით აღმაშენებლისა (1089-1125) და თამარ მეფის (1184-1213) ბრძნულმა მმართველობამ საქართველო აქცია ძლიერ, აყვავებულ ქვეყნად, რამაც დიდი გავლენა იქონია საქართველოში საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე. ბათუმი გახდა მნიშვნელოვანი საზღვაო ქალაქი. ბათუმში საქალაქო ცხოვრების განვითარების შედეგად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა. იგი რამდენიმე ათას კაცს აღწევდა (ბერაძე თ., 1981: 167). ასევე იზრდება ქალაქის დასახლება. იგი მოიცავდა შესართავიდან მდ. ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროს გაყოლებით მდ. ბარცხანამდე ტერიტორიას, თამარის დასახლების ჩათვლით. ქალაქი იყოფოდა უბნებად (უზუნაძე რ., 2013 : 35). ბათუმი, რომ აღნიშნული პერიოდისათვის საკმაოდ დიდი დასახლება ყოფილა ამაზე ნათლად მეტყველებს XIX საუკუნეში შემორჩენილი ქალაქის კედლის და ეკლესიების ნაშთები. გამოჩენილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, რომელმაც 1873 წ. მოინახულა ბათუმი, მოგვითხრობს: წარსულში ბათუმი მდებარეობდა დიდ მოვაკებულზე, ყოროლისწყლის მარცხნივ. ამ ადგილზე დღემდე შემორჩენილია ქალაქის დიდი კედლის, ექვსი-შვიდი ეკლესიის ნაშთები (ბაქრაძე დ., 1987:27). ქალაქში რამდენიმე ეკლესიის არსებობა მიუთითებს მის მასშტაბურობაზე.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ძვ. ბათუმსა და მის შემოგარენში შემორჩენილი ტოპონიმები: ორთა-

ბათუმი, სკურკუბა, თამარის ციხე, სალიბაური, ნაბრინჯვალი, ლიმენტვალი, ჭუნჭულავას ღელე, შავღელე, დიდყანა, ნაგუმარი/ნაგომარი, ყუზიხანა, საქთამური/საქათამური, საკალმახე, სარცხელი, სახარატო, საოხრო/საოხორო, ჯაბალათი, ლოშხენი, ნაჟვი. აღსანიშნავია, რომ ისინი გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, შეიცავენ საყურადღებო ცნობებს ძვ. ბათუმის საქალაქო ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტის შესახებ. „თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აჭარის მოსახლეობის წარსულის შესახებ წერილობითი წყაროები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, საკვლევი მხარის ტოპონიმია წერილობითი წყაროს როლს ასრულებს“ - მიუთითებს პროფ. მ. ქამადაძე (ქამადაძე მ., 1992:46).

როგორც ზემოთ ითქვა, ძველი ბათუმი იყოფოდა უბნებად. ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა შუა უბანი. ამ მდგომარეობის ანარეკლია ტოპონიმი ორთაბათუმი. მდებარეობს მდ. ყოროლისწყლის ქვემო წელის მარცხენა მხარეს (სიხარულიძე ი., 1959:50). მიეკუთვნება საკვლევი ტერიტორიის გეოგრაფიულ დახასიათების შემცველ თხზულ სახელწოდებას. „ორთა“ აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს დამკვიდრებული სიტყვაა და ნიშნავს „შუას“. ამდენად იგი ქართული „შუა ბათუმის“ თურქულად ნათარგმნი ვარიანტია. მითითებული ტოპონიმი ასახავს XII-XV ს.ს-ის რეალობას. როდესაც ბათუმი განფენილი იყო მდ. ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროს გაყოლებით რამდენიმე კილომეტრზე. ლოგიკურია, საკმაოდ დიდ მანძილზე განფენილი ქალაქის ტერიტორია იყოფოდა უბნებად, ანუ ქვემო, შუა და ზემო ბათუმად. სწორედ არსებული მდგომარეობა უნდა იყოს ასახული საკვლევ ტოპონიმში. აჭარის ტოპონიმების ანალიზიდან გამომდინარე პროფ. მ. ქამადაძე მიუთითებს: „ფორმალუცვლელი სიტყვები აზუსტებენ ამა თუ იმ პუნქტის ადგილმდებარეობას. ეს დაზუსტება **იმ დროის მოვლენა უნდა იყოს, როდესაც ერთი სახელწოდების ადგილი ტერიტორიულად გაიზარდა და გაჩნდა მასში შემავალი ობიექტების გარჩევის ბუნებრივი აუცილებლობა**“ (ქამადაძე მ., 1992:39).

საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა მდ. ყოროლისწყლის ქვემო წელზე (ქალაქის მდებარეობის არეალში) ჰიდრონომი **ლიმენტვალი**. სწორი ფორმა უნდა იყოს „**ლიმენტვალი**“.

„ლიმენი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ნავსაყუდელს. თავდაპირველად, სავარაუდოდ ამ ადგილს ერქვა „თვალი“. ჩვენი წინაპრები მდინარის შესართავთან შექმნილ ნავსადგურს „თვალს/თუალს“ უწოდებდნენ (**ბერაძე თ., 1981 : 25**). ჩანს მდინარის ქვემო წელის მონაკვეთი გამოიყენებოდა სანაოსნოდ. ლიმენი ბერძნულის გავლენით წარმოქმნილი დანაშრევია. „ლიმენტვალი“ წარმოადგენს მოზრდილ ღრმა ადგილს, სადაც წყალი მდორედ მიედინება. გადმოცემით გემები აქ ამოდიოდნენ. როგორც ირკვევა მდ. ყოროლისწყალის ქვემო წელი გამოიყენებოდა სანაოსნოდ (**კუტალიეშვილი ზ., 1987 : 151**).

მდინარეებს – ყოროლისწყალსა და ბარცხანის წყალს შორის ფიქსირდება ჰიდრონიმი **სკურკუბა**. ჩაედინება ზღვაში. **სკურკუბა** ადრე მოზრდილი მდინარე ყოფილა. ი. კალფოღლუ მიუთითებს: სკურკუბა ბათუმის ზემოთ ჩამოდის, მდინარე ბარცხანის იქით (**Кальфоглу И., 1906 : 40**). ნ. დაკიშევიჩის 1890 წ. ცნობით: ბათუმის ახლო-მახლო მდინარეებია ბარცხანა, სკურკუბა, ყოროლისწყალი (**დაკიშევიჩი ნ., 2011 : 37**).

სკურკუბა თხზული სახელწოდებაა. სკურ ზანური სიტყვაა და ნიშნავს წყალს, მდინარეს (**ჭუმბურიძე ზ., 1987 : 502**). რაც შეეხება სიტყვას **კუბა**, ამ სახით გვხვდება რუსულ წყაროებში. იგი ქართულ **ქუბა**-ს სახენაცვალ ფორმაა. შესაბამისად სწორი გამოთქმაა **სკურქუბა**.

„ქუბი-ჭვავი“ განმარტავს სულხან-საბა (**ს.ს. ორბელიანი, 1966: 235**). **ქუბი/ქუბა** საქართველოში გავრცელებული პურეული მცენარის არქაული სახელწოდებაა (**ჯავახიშვილი ი., 1996 : 392; მაყაშვილი ა., 1991 : 84; ქეკელ, VII, 1962 : 367; ქაჯაია ო., 2002 : 156**). მომდინარეობს ზანურ-ქართულ ენობრივი ერთობის დროიდან. ჭვავის კულტურა ფართოდ ყოფილა გავრცელებული აჭარაში (**მამულაძე შ., 2009 : 151**). ამაზე ნათლად მეტყველებს რეგიონში მრავლად შემორჩენილი ადგილთა სახელები: ნაჭვავარი, ნაჭვავები, ნაჭვავი... (**სიხარულიძე ი., 1958:218**). საკვლევი ჰიდრონიმის სახელწოდებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ძვ. ბათუმის მცხოვრებთ ქალაქის სამხრეთ ნაწილში მოჰყავდათ ჭვავი (ქუბი).

ძვ.ბათუმის ფუძე ადგილზე – ბათუმის გორაზე აღმართული „ბათუმის ციხე“ ასევე ცნობილია „თამარის ციხის“ სახე-

ლით (სიხარულიძე ი., 1959 : 90; კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., 1989 : 5). არსებობს სხვადასხვა გადმოცემა, რომელთა მიხედვით ციხე აუშენებია თამარ მეფეს. ლეგენდა გადმოგვცემს: ამალითა და ჯარით ტრაპიზონს მიმავალ (თუ იქედან გამარჯვებით დაბრუნებულ) თამარ მეფეს (1204 წ.) გზად გაუვლია ძვ. ბათუმში. მისი ბრძანებით ბათუმის გორაზე აუგიათ ციხე (**ბაქაძე დ., 1989 : 27; სიხარულიძე ი., -1959 : 40**). როგორც გამოკვლეულია ბათუმის ციხე აგებულია ბევრად ადრე – ახ.წ. VI ს-ში (**Леквинадзе В., 1970 : 169-173; ხახუტაიშვილი დ., 1997 : 335; ინაიშვილი ნ., 2009 : 154-156**). რაც შეეხება სწორუბოვარი მეფის სახელის დაკავშირებას ბათუმის ციხესთან, ვფიქრობ ლეგენდაში ასახული უნდა იყოს თამარ მეფის დიდი ღვაწლი ბათუმის საქალაქო დასახლების განვითარებაში და ასევე როგორც საზღვაო ქალაქის, ბათუმის ციხე-სიმაგრის გამაგრებაში. აღსანიშნავია, რომ ძვ. ევროპულ საზღვაო რუკებზე ბათუმი გამოსახულია ციხე-ქალაქის აღმნიშვნელი კარტოგრაფიულინი შნეებით. დ. ბაქრაძე კი მიუთითებდა ქალაქის დიდი კედლის ნაშთებზე (**ბაქრაძე დ., 1989 : 27**).

დიდი ქალაქების მსგავსად ბათუმის საქალაქო დასახლებას გააჩნდა სასოფლო სამეურნეო რაიონები: შავლელე (სოფ. განთიადი), სალიბაური (სოფ. სალიბაური).

თავისი სიძველით გამოირჩევა ძვ. ბათუმის სასოფლო-სამეურნეო რაიონი შავლელე. ოსმალთა ბატონობის დროს ითარგმნა ყარადერედ.

შავლელე გამოირჩევა ასევე ტოპონიმური მასალის სიმრავლით. ტოპონიმების შინაასიდან გამომდინარე შავლელეს სასოფლო რაიონი იყოფოდა სამეურნეო უბნებად.

ფერდობი ადგილის სახელია **დიდყანა (სიხარულიძე ი., 1959 : 50)**. მიუთითებს დიდ სათეს ადგილზე. მოჰყავდათ მარცვლეული კულტურა.

ნაგუმარი (სწორი ფორმაა ნაგომარი) – ბუჩქნარი ადგილი (**სიხარულიძე ი., 1959:50**). მიკროტოპონიმში გამოიყოფა ფუძე **გომი**. ნაწარმოებია წინა ვითარების შინაარსის გამომხატველი **ნა-არ** აფიქსით. მიუთითებს, რომ აღნიშნული ადგილი წარმოადგენდა შავლელეს საძოვარს. სადაც მონყობილი იყო **გომი** (მენახირეთა, მეგომეთა საცხოვრებელი და მსხვილფეხა

საქონლის სადგომი).

ყუზიხანა – ბუჩქნარი (სიხარულიძე ი., 1959 : 50) იგი თურქულ-სპარსული წარმოშობის გამოთქმაა და ნიშნავს სა-
ბატკნეს, საკრავეს. ჩანს ადგილი წარმოადგენდა კრავთა საძო-
ვარს, რაც მიუთითებს, რომ შაველეს სასოფლო რაიონში ასე-
ვე მისდევდნენ წვრილფეხა საქონლის მოშენებას.

საქათამური - ბუჩქნარი (სიხარულიძე ი., 1959 : 50). სწო-
რი ფორმა უნდა იყოს საქათამური. ნაწარმოებია დანიშნულე-
ბის გამომხატველი **სა-ურ** პრეფიქს-სუფიქსით. ადგილის სა-
ხელწოდებიდან გამომდინარე ჩანს, რომ საკვლევი სასოფლო
უბნის საქმიანობაში დამახასიათებელი ყოფილა მეფრინველეო-
ბა.

საკალმახე – სოფლის კუთხე (სიხარულიძე ი., 1959 : 50).
აქ ჩამოედინება შაველე. გადმოცემით მდინარის აღნიშნულ
მონაკვეთში მრავლად ყოფილა კალმახი. მიკროტოპონიმი ნა-
წარმოებია დანიშნულების გამომხატველი **სა-ე** აფიქსით.

სარცხელი – საძოვარი ადგილი (სიხარულიძე ი., 1959 :
50). სულხან საბას განმარტებით: „სარცხელი – გასარეცხელი,
დასარეცხელი“ (ს.ს.ორბელიანი, 1966 : 54). ასევე სარცხელი
მეგრულად ჰქვია ნალდს (ქაჯაია ო., 2002 : 581).

გამოკვლეულია რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო
(კოლხური კულტურის კერა) განთქმული იყო ბრინჯაოს სამე-
ურნეო იარაღების (ცულები, ნალდი, თოხი, ნამგალი...) დამზა-
დებით (**კახიძე ა., მამულაძე შ., 2000: 38**). აჭარაში მრავალ ად-
გილასაა აღმოჩენილი (მათ შორის სოფ. განთიადში) აღნიშნული
და მომდევნო ხანის სამეურნეო იარაღები (**კახიძე ა., მამულაძე
შ., 2000 ; კახიძე ა., 2007 : 148**). მიუთითებენ, რომ კოლხური
ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის მნიშვნელოვანი მონაპო-
ვარია ნალდი (**კახიძე ა., მამულაძე შ., 2000 : 38**). მათი დამზა-
დება ხდებოდა სამჭედლო სახელოსნოებში. ვფიქრობ სამჭედ-
ლო სახელოსნო არსებულა ასევე შაველეს სამეურნეო რაიონ-
ში, კერძოდ საკვლევ კუთხეში. იგი გამორჩეული უნდა ყოფილი-
ყო ნალდის, იგივე სარცხელის (ზანურად) დამზადებით. შესაბა-
მისად შორეულ წარსულში ზანურის გავლენით ადგილს ეწოდა
სარცხელი. (სოფ განთიადში მიკვლეულია ანტიკური ხანის სა-
მოსახლო. აქ აღმოძნდა ძვ.წ. IV ს. შუა ხანების სინოპური მონე-

ტები. მიწადმოქმედებისა და მესაქონლეობის გვერდით დანინა-
ურებული ჩანს ხელოსნური წარმოება (კახიძე ა., 2007 : 249).

სახარატო – სოფლის კუთხე (**სიხარულიძე ი., 1959 : 50**).
წარმომდგარია სიტყვისაგან ხარატი. დაერთვის დანიშნულების
მანარმოებელი **სა-ო** აფიქსი. “ხარატი – ხის ჭურჭლის მხვენე-
ლი” – განმარტავს სულხან საბა (**ს.ს. ორბელიანი 1966 : 415**).
აღსანიშნავია, რომ აჭარაში განვითარებული ყოფილა მხვენე-
ლობა. ამზადებდნენ ხარატულ ჯამ-ჭურჭელს, სუფრებს... (**კა-
ხიძე ნ., 2004 : 52-53**). ამდენად, საკვლევ ტერიტორიაზე მოწყო-
ბილი ყოფილა სახარატო.

სახრო სათესი (**სიხარულიძე ი., 1959 : 50**). სწორი გამოთ-
ქმეა საოხრო. იგი ზანური წარმოშობის სახელწოდებაა და ნიშ-
ნავს სამოსახლოს, დასახლებულ ადგილს (ქობალია ა.,
2010:590). ადგილის სახელწოდება მიუთითებს, რომ საკვლევი
კუთხე წარმოადგენდა სამოსახლო უბანს.

სალიბაურის სასოფლო რაიონი მოიცავდა დაახლოებით
სოფ. სალიბაურის (ძირითადად ქვემო სალიბაური) ტერიტორი-
ას. სალიბაური ანთროპონიმური წარმოშობის სახელწოდებაა.
მასში გამოიყოფა ქრისტიანობის ხანის აჭარაში გავრცელებუ-
ლი გვარსახელი **სალიბაძე**. ნაწარმოებია წარმომავლობა-კუთ-
ვნილების აღმნიშვნელი „ურ“ სუფიქსით. რაც მიუთითებს, რომ
აქ სახლობდნენ სალიბაძეები. შესაბამისად ადგილსაც ეწოდა
სალიბაური. აჭარის ონომასტიკის შესწავლის საფუძველზე
პროფ. მ.ქამადაძე მიუთითებს: მხარის გეოგრაფიულ ნომეკლა-
ტურაში ხშირად ჩანს პირთა ისეთი სახელები თუ გვარები, რომ-
ლებიც ისტორიული ბედუკუდმართობის მსხვერპლი გამხდარან
და დღეს უკვე აქ აღარ ცხოვრობენ. მაგრამ ოდესღაც მათი აქ
ცხოვრების კვალი ადგილის სახელწოდებამ შემოგვინახა (**ქამა-
დაძე მ., 2009 : 526**). გვარი სალიბასძე რამდენჯერმე მოხსენიე-
ბულია ტბეთის სულთა მატეიანეში. (**მატეიანე, 1977 : 68, №70,
№72**). მოსახსენებელი მიეკუთვნება XV ს. (**მატეიანე, 1977 : 20**).
თუ გავითვალისწინებთ, რომ მითითებული გვარსახელი საკ-
ვლევი ადგილის გარდა არსად ფიქსირდება, სავარაუდოდ, მა-
ტეიანეში მოხსენიებული სალიბასძეები უნდა ყოფილიყვნენ ძვ.
ბათუმისა და დასახლება სალიბაურის მცხოვრებნი.

ძვ. ბათუმის გარეუბნის (ზედა ბათუმი) მიმდებარე ტერი-

ტორიაზე, მარჯვენა მხრიდან მდ. ყოროლისწყალს უერთდება „ჭუნჭულავას ღელე“. ჰიდრონიმი ანთროპონიმული წარმოშობისაა. მისი მსაზღვრელი წევრი (ჭუნჭულავა) ნაწარმოებია გვარსახელისათვის დამახასიათებელი „ავ“ სუფიქსით. ადგილის სახელწოდება მიუთითებს, რომ ღელე და მიმდებარე ტერიტორია ეკუთვნოდათ ჭუნჭულავებს. ამდენად, ქრისტიანობის ხანის ყოროლისწყლის ხეობის და შესაძლოა ძვ. ბათუმის, მცხოვრებნი ყოფილან ჭუნჭულავები.

აღსანიშნავია, რომ XIII ს-ის მეორე ნახევრიდან გახშირდა ევროპელი ვაჭრების, კერძოდ იტალიელთა სავაჭრო ურთიერთობა ბათუმთან. რაც დაკავშირებული იყო იტალიელების მიერ აზოვისა და შავიზღვისპირეთში სავაჭრო კოლონიების დაარსებასთან (ბერაძე თ., 1981 :178-182; მისივე, 1983 : 28-31; უზუნაძე რ., 2010 : 26).

ბათუმში შემოდის იტალიის ქალაქ-სახე, ნიფოების გენუას, ვენეციის, პიზას სავაჭრო გემები. იტალიელ დიდვაჭრებს შემოჰქონდათ და გაჰქონდათ სხვადასხვა საქონელი. იმართებოდა ბაზრობები. როგორც ირკვევა ბათუმში მრავლად ცხოვრობდნენ იტალიელი ვაჭრები (ბერაძე თ., 1981 :180; უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., 2013 : 19).

არსებულმა მდგომარეობამ განაპირობა XIII ს-დან ევროპაში ინტერესი და ცნობები ბათუმის შესახებ. რამაც ასახვა ჰპოვა სხვადასხვა სახის წერილობით მასალებში. მათ შორის საინტერესო ცნობების შემცველია ძველი ევროპული საზღვაო რუკები (ე.წ. პორტოლანები). ამ მხრივ აღსანიშნავია ვენეციელთა (XIII ს.), პიეტრო ვესკონტეს (1313, 1320 წ.წ.), ვენეციელ ძმებ ფრანცისკა და დომინიკა პიციგანიების (1367 წ.) ძვ.ევროპული (1426 წ.), გრაციზო ბენიკაზას (1480 წ.), ჯაკოპო გასტალდის (1561 წ.) რუკები. “ეს გარემოება ცხადია მოწმობს ამ დროს ბათუმის, როგორც სავაჭრო ნავსადგურის მნიშვნელობას“ (მუსხელიშვილი დ., 1998). მითითებულ რუკებზე ბათუმი გვხვდება სახელებით: ვატი (Vati), ლოვატი (Lovati), ვარუ (Varu), ვათანი (Vathan), ბათინი (Vathin), ბოტანი (Botan), ლოათონი (Lovaton).

საკვლევ თემასთან დაკავშირებით, ინფორმაციულობის თვალსაზრისით, როდესაც ვსაუბრობთ აღნიშნული რუკების მნიშვნელობაზე, გასათვალისწინებელია, რომ ისინი ძირითა-

დად შედგენილია იტალიელი კარტოგრაფების მიერ. XII-XV ს.ს-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან ინტესიური სავაჭრო ურთიერთობიდან გამომდინარე იტალიელები კარგად იცნობდნენ საქართველოს ზღვისპირა პუნქტებს, მათ შორის ბათუმის მდგომარეობას. შესაბამისად პორტოლანებზე დაფიქსირებული მონაცემები ასახავენ არსებული მდგომარეობის რეალურ სურათს (თვარაძე ა., 2004 : 141).

ევროპულ საზღვაო რუკებზე ბათუმი გამოსახულია ციხე-ქალაქის აღმნიშვნადი კარტოგრაფიული ნიშნებით. იგი მითითებულია შესართავის სიღრმეში. ამასთან ერთად, მდ.ყოროლისწყლის ქვემო წელი წარმოდგენილია მსხვილი პლანით. რაც მიუთითებს, რომ ქალაქი განფენილი უნდა ყოფილიყო მდინარის მარცხენა სანაპირო ზოლის საკმაოდ დიდ მანძილზე.

არსებული მასალების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: განვითარებულ შუა საუკუნეებში ბათუმი მსხვილი ქალაქ-ნაცსადგურია. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს და საერთოდ ამიეკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაში.



ბათუმის ციხე


Batumi fortress

Батумская крепость




შუა სიგურეების კლესია აგელ ბათუმში (თაბისის დასახლება)


Церковь средних веков в старом Батуми



შავი ზღვის რუკა. ავტ. პიეტრო ვესკონტე, 1320 წ.
The Black Sea Map. Author – Pietro Vesconte, 1320.
Карта Черного моря. Авт. Пиетро Весконтэ 1320 г.



ვენეციელთა რუკა. XIII в.
Venetians' Map, 13th c.
Венецианская карта. XIII в.



ფრანცისკა და დომინიკა პიციგანების მიერ შედგენილი რუკა. 1367 წ.
A Map Compiled by Francisca and Dominique Picigany, 1367
Карта, составленная Франциска и Доминика Пичигани

გამოყენებული ლიტერატურა

1. დ.ბაქრაძე, მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
2. თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981
3. თ. ბერაძე, საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან XII-XV ს.ს. – „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1983, №2.
4. Т. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, тб., 1989.
5. ნ.დაკიშვილი, ბათუმი, ბათუმი, 2011.
6. ნ.ვაშაკიძე, აჭარა ელისტურ ხანაში (მეურნეობა, საერთაშორისო სავაჭრო კავშირები). სდსინ (აჭარა), ტ. I, ბათუმი, 2007.
7. ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004.
8. ნ. ინაიშვილი, ბათუმი ადრეზიზანტიურ ხანაში. – ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათუმი, 2009.
9. И. Кальфоглу, Древнейшие известия о Батуме. - ИКОИРГО. XVIII, вып. I, Тифлис, 1905.
10. ა. კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. – სდსინ, XVIII, თბ., 1989.
11. ა.კახიძე, შ.მამულაძე, ჭოროხის აუზი კოლხურიკულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000.
12. ა. კახიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. – სდსინ (აჭარა), I, თბ., 2007.
13. ნ. კახიძე, ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2004.
14. ზ. კუტაღიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, თბ., 1987.
15. შ. მამულაძე, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში. – სდსინ (აჭარა) II, ბათუმი, 2009.
16. შ. მამულაძე, რ. უზუნაძე, ბათუმი შუა საუკუნეებში. – ბათუმი (წარსული და თანამედროვეობა), I, ბათ., 2009.
17. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991.
18. ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. – თხზ. ტ. IV, თბ., 1965.
19. საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2009.

20. ი.სიხარულიძე, სდს ტოპონიმია, I, ბათუმი, 1958.
21. ი.სიხარულიძე, სდს ტოპონიმია, II, ბათუმი, 1959.
22. ტბეთის სულთა მატიანე (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ), თბ., 1977.
23. რ.უზუნაძე, ბათუმის საქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრება (XII ს. – XIX ს.I ნახევარი). – სდსინ (აჭარა), II, ბათუმი, 2009.
24. რ.უზუნაძე, ბათუმი ძველი ევროპულ და ოსმალურ წყაროებში. – აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში., ბათუმი, 2010.
25. რ.უზუნაძე, შუა საუკუნეების პერიოდის ბათუმის წარსულიდან. – „საისტორიო მაცნე“, XX, ბათუმი, 2013.
26. რ.უზუნაძე, რ.სურმანიძე, ნ.ზოსიძე, ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), ბათუმი, 2013.
27. ა.ფრანკელი, ნარკვევები ჩურუქსუზე და ბათუმზე, ბათუმი, 2012.
28. მ.ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., 1992.
29. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, თბ., 1962.
30. ო.ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 2002.
31. ა.ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.
32. ნ.ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
33. დ.ხახუტაიშვილი, ბათუმის ციხე. – საქართველო (ენციკლოპედია), I, თბ., 1997.
34. ნ.ხახუტაიშვილი, აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფა. – სდსინ (აჭარა), II, თბ., 2007.
35. ივ.ჯავახიშვილი, თხზ. ტ. IV, თბ., 1996.

Revaz Uzunadze

Batumi in the Middle Ages

Summary

Batumi is an ancient city in Georgia. It belongs to the number of rare cities having a 2 500-year history of continuous civic life and is still actively involved in trade-economic, cultural and political life of the country.

Initially Batumi was built in the north-eastern part of the present city, at the estuary of the river Korolistskali (at the Batumi Gora and its vicinities). It was well-advanced in XII-XV cc. The population reached several thousand people. The settlement was enlarged as well; it comprised a vast territory – from the estuary, alongside the river Korolistskali up to the river Bartskhana. Six-seven churches were functioning at this time in Batumi and its vicinities. This fact also points to the large dimensions of the city. Interesting information has been preserved on the research topic of this period in the toponyms still preserved in the Old Batumi and its vicinities (Skurquba, Ortabatumi, Limentvali, SALibauri, Shavghele, Gomi, Sartskheli, etc.). Significant information is provided by the European maritime maps of XIII-XV centuries. They depict Batumi under the following names: Vati, Lovati, Varu, Vathan, Vathin, Botan, Lovaton.

Conclusion: In the Middle Ages Batumi was a big seaport city. It played significant role in the economic life of Transcaucasia.

ბადრი გოგუაძე

ლატვიის ეროვნული გმირის თეოდორ სპადეს საქართველოში მოღვაწეობის ისტორიიდან

ბათუმი, 1917 წლის ვარდობისთვე. ზღვისპირა რესტორნის ფანჯრებს გაზაფხულის მზის სხივები ელამუნებოდა. სუფრას, ამ არეულ დროს საიდანღაც სასწაულად შემორჩენილი შამპანურის რამდენიმე ბოთლი ამშვენებდა.

- ბატონებო! ჩვენს მეგობარს და სიძეს, ბ-ნ თეოდორ სპადეს და ქ-ნ ნადეჟდას გაუმარჯოს! - მიმართა სუფრასთან მსხდომ ქართველ ოფიცრებს შალვა მახარაძემ - პირველი მსოფლიო ომის გმირმა, რომლის მკერდს იმპერიის ოთხი ჯვარი ამშვენებდა. ჩინ-მედლები არც სხვებს აკლდა, მათ შორის სადღეგრძელოს ადრესატს-თეოდორს. მის გვერდით, ულამაზესი ნადეჟდა შველიძე, ამოდ ცდილობდა დაეფარა ოფიცერთა ყურადღებით გამოწვეული უხერხულობა და სიყვარულით შესცქეროდა თავის რჩეულს. სუფრასთან ისხდნენ - საზღვაო ოფიცერი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელთანაც სპადეს ადრეული ნაცნობობა აკავშირებდა. იგი ბალტიის ფლოტში კრეისერ „მიტავას“ უფროს ოფიცრად მსახურობდა. ასევე შალვას მეგობარი და თანამებრძოლი, ავსტრიის ფრონტიდან ახალდაბრუნებული გვარდიის მეტყვიამფრქვევეთა რაზმის უფროსი - მიხაკო გოგუაძე და ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მომავალი გმირი - ვლადიმერ გოგუაძე. ასევე საპატარძლოს რამდენიმე ნათესავი. ალექსანდრემ თეოდორს მეგობრულად ხელი გადახვია და უთხრა:

- შენი ნათესავები აქედან შორს არიან, მაგრამ არაუშავს, ჩვენ ხომ ზღვამ დაგვანათესავა და შენი მეჯვარე მე ვიქნებიო.

- გაუმარჯოს, გაუმარჯოს-დასჭექეს უღვაშდამკვიპილმა ოფიცრებმა და ერთსულოვნად შესვეს მართლაც რომ ულამაზესი წყვილის სადღეგრძელო. ბაფთიანმა გიტარამაც არ დააყოვნა და ქეიფს მონატრებული, ომგამოვლილი ქალაქი იმედის საამო ჰანგებმა მოიცვა.

საყოველთაო ქაოსით მოცულ ქალაქში, რა დროს ქეიფი-აო, მითუმეტეს ქორწილი, იტყოდა მავანი, მაგრამ როდესაც

ამ დიდებული წყვილს შეხედავდა, უმაღლეს რწმუნებოდა ამ არგუმენტის უსუსურობაში.

ვინ იყო თეოდორ სპადე და რა აკავშირებდა მას საქართველოსთან?



ვ. გოგუაძე



თეოდორ სპადე
ახალგაზრდობაში



შ. მახარაძე

ლატვიის ეროვნული გმირი, ადმირალი თეოდორ სპადე დაიბადა ქ. ვენტსპილსში 1891 წლის 7 მარტს მეთევზის ოჯახში. მან მრავალი მეზღვაურისთვის საოცნებო გზა გაიარა და ბრწყინვალე საზღვაო კარიერა გაიკეთა.

მოგვიანებით, უკვე წარმატებულ საზღვაო ოფიცერს, განსაკუთრებით უყვარდა მშობლიური ქალაქის საზღვაო თევზჭერის ისტორიის მუზეუმის დათვალიერება. იგი დიდხანს ჩერდებოდა ერთ-ერთ ექსპონატთან - სურათზე აღბეჭდილი იყო მისი მამა მეთევზეებთან ერთად და თხუთმეტი წლის ფეხშიშველი ბიჭი ვებერთელა თევზით. ეს ბიჭი თავად თეოდორი იყო, რომელიც ადრეულ ასაკში ჩაება შრომით ფერხულში და შეეჭიდა მრისხანე ბალტიის ზღვის ტალღებს.

ზღვა იყო მისი სტიქია. მან ჩამოაყალიბა სპადე უშიშარ და ვაჟკაც მეზღვაურად. საზღვაო ხელოვნება ურთულესია და ენთუზიაზმის გარდა მყარ, შესაბამის განათლებასაც მოითხოვს. იუნგამ ჯერ რეალური სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ პეტერბურგის საზღვაო კადეტთა კორპუსი, ბოლოს საზღვაო აკადემია საფრანგეთში და უმაღლესი რანგის საზღვაო ოფიცერი გახდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ბალტიის ფლოტში მიჩმანად ჩაირიცხა, შემდეგ შავი ზღვის ფლოტში აგ-

რძელებს სამსახურს, სადაც აქტიურად ჩაება, გერმანელთა მიერ გაძლიერებული, თურქული ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლებში.

ზოგადად ცნობილია, რომ ომის დროს თურქული და რუსული ფლოტი პირისპირ ბრძოლებს თავს არიდებდნენ. ცდილობდნენ მოწინააღმდეგის სანაპირო ქალაქები და სამხედრო ობიექტები დაეპყრობათ. სამხედრო ხომალდებმა რამდენიმე ასეთი რეიდი განახორციელეს ტრაბზონის მიმართულებით და ბუნებრივია მათ ბათუმის ნავსადგურშიც უხდებოდათ შესვლა. თეოდორ სპადეს თავდადება და მიცემული ფიცის ერთგულება არ გამორჩენიათ ფლოტის ხელმძღვანელობას და მამაცობისათვის დააჯილდოვეს წმ. ანას და წმ. სტანისლავის ორდენებით.

იმპერიაში საზღვაო ოფიცრები ყველაზე პრივილეგირებულ სამხედრო ფენას წარმოადგენდნენ. სხვათა შორის წმ. ანას ორდენის მფლობელი ხდებოდა

არა მხოლოდ ელიტარული სამხედრო ფიგურა, არამედ ავტომატურად ენიჭებოდა თავადის წოდება და შესაბამისი უფლებები.

სპადე ამ დროს უკვე ოფიცერია და დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს ნაღმოსნებს. პარალელურად იწყება რუსეთის რევოლუცია და შავი ზღვის აუზში ნამდვილი ვაკხანალია მყარდება. რუსული „ანდრეევის ფლოტის“ საამაყო საზღვაო ოფიცრები მატროსებს ველარ იმორჩილებენ. მეტიც, ბევრი მათგანი ანარქისტ-ბოლშევიკმა მეზღვაურებმა, ყოველგვარი დანაშაულის გარეშე მოისროლეს ბორტიდან შავი ზღვის ტალღებში. ძირითად საზღვაო ბაზას - სევასტოპოლს ბოლშევიკი მოროდირები დაეპატრონნენ. სხვადასხვა სჯულის ანარქისტები, ავანტიურისტები და უბრალოდ ნაძირლები კალიასავით მოედვნენ ზღვისპირა დასახლებებს, ატერორებდნენ ყველას და ყველაფერს, ძარცვავდნენ ყველასა და ყველაფრის სახელით.

გამონაკლისი არც საქართველოს ზღვისპირეთი იყო, სადაც მათი მოკავშირე ბოლშევიკები, გაბრუებულნი რუსული რევოლუციით, შესაშური ენთუზიაზმით ცდილობდნენ ჩანასახშივე ჩაეხშოთ ღვთიით ბოძებული დამოუკიდებლობის მიღების შანსი.

25 წლის კურლანდიელ ახალგაზრდას ენატრებოდა მშობლიური ლატვია, ოჯახი, მაგრამ ამ ჯოჯოხეთიდან გაღწევა

თითქმის წარმოუდგენელი იყო. დადებული ფიცის ერთგულება მეორეხარისხოვანი გახდა, რადგან იმპერია დაიშალა, გაიხრწნა და ქაოსმა მოიცვა. პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა მომავლის პროგნოზირება.

თ. სპადე, ჯერ კიდევ არსებული შავი ზღვის ფლოტის დაბნეული მთავარსარდლის, ადმირალ ა. ნემიტცის სანდო პირი ხდება. იგი რუსი ისტორიკოსების გასაკვირად ადმირალის წარმომადგენლად ინიშნება უკრაინის რადასთან მოლაპარაკებაში ფლოტის მომავალთან დაკავშირებით. იმავდროულად ნიჭიერი ლატვიელი ოფიცერი „განსაკუთრებული დავალებით“ მიავლინეს უკრაინის ფლოტის სარდალ ე. აკიმოვთან, სადაც ეკავა სახაზო გემების ბრიგადის შტაბის უფროსი ადიუტანტის თანამდებობა, მაგრამ მისთვის, ამ გაუგებარ, აბსურდების თეატრს დამსგავსებულ სამყაროში, ყოველგვარი წინსვლა და თანამდებობა მხოლოდ მირაჟი იყო. ამიტომ სპადე პირველსავე შემთხვევაში ბათუმისკენ გამოეშურა. აქ მას მისი ცხოვრების ულამაზესი თანამგზავრი - ნადეჟდა ელოდებოდა. თანაც სიტყვის კაცი იყო და ქართველი ოფიცრებისათვის მიცემულ სიტყვას ვერ გასტეხდა.

ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შეყვარებული წყვილის ამალღებული, რომანტიული შეხვედრა.

„სიყვარული აგვამალღებსო“ - თქვა სულმნათმა შოთამ და ორ სიტყვაში ჩაატია ის ჭეშმარიტება, რომლის ახსნასაც მსოფლიოს ფილოსოფიის მამები დასაბამიდან უშედეგოდ ცდილობდნენ. დიახ, ეს ამალღებული სიყვარული, სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული წყვილის მუდმივი თანამდევი იყო. მან გაუძლო უამრავ განსაცდელს, ბედუკუდმართობას და დარჩა ლამაზ მოგონებად.

მათ სიყვარულს ვერც კონფესიურმა სხვაობამ შეუშალა ხელი. ნადეჟდა შველიძე მორწმუნე მართლმადიდებლური ოჯახიდან იყო და როდესაც დადგა საკითხი ჯვრისწერისა, ლუთერანმა თეოდორმა უყოყმანოდ მიიღო მართლმადიდებლობა. წყვილმა ბათუმის ტაძარში დაიწერა ჯვარი 1917 წლის მაისში. კდემამოსილი და განათლებული გოგონა ასევე

უზომოდ იყო შეყვარებული თავის რჩეულზე. მას აშკარად ეამაყებოდა და თავიც მოსწონდა, რადგან მეუღლე, მის ქვეყა-

ნას ჩვეული პროფესიონალიზმითა და ერთგულებით ემსახურებოდა.

სხვათაშორის თ. სპადეს მომავალმა მეგობარმა, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის პოლკოვნიკმა - შალვა მალაქელიძემ 1918 წელს სამხედრო აღლუმზე, ახალციხეში (იგი ამ მხარის გენერალ გუბერნატორი იყო იმ პერიოდში) გაიცნო რიგელი კათოლიკე გოგონა - მარია. მათაც თავდავინყებით შეუყვარდათ ერთმანეთი და კათოლიკურ ტაძარში იქორწინეს (მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ოსმალეთის ფრონტი მოიშალა. ომისაგან დაღლილი და ბოლშევიკური პროპაგანდით ტვინამღვრეული ჯარისკაცების მასა ფრონტიდან იხსნებოდა და სახლებში გარბოდა. მათი უმრავლესობა ყოფილი გლეხი იყო და ჩქაროდნენ ლენინის მიერ დაპირებული მემამულეთა მიწებისა და ქონების ხელში ჩაგდებას. იმდროინდელ პრესაში ვკითხულობთ: „ოსმალეთის ფრონტის დაცარიელებამ (უმთავრესად ტრაპიზონის ფრონტის დაცლამ) ბათუმში ჭრელი ხალხით აავსო. ვინ გინდა, რომ დღეს ბათუმში არ იყოს: ეპოლეტახდილი გენერალ-აფიცრები, ჯარისკაცები, მატროსები, ბედის მაძებარი სპეკულანტი მოიჯარადენი, ინჟინრები, უსახლკარო ბერძნები, სომხები და სხვები. ქალაქი სავსეა ლტოლვილებით“.

გამოროდირებულ ჯარისკაცებზე სამიში ფლოტის რუსი მატროსები იყვნენ, რომლებშიც მეკობრული სული მძლავრობდა. მათ ხელში იყო სამხედრო გემები, ტყვია-წამალი და ატერორებდნენ ბათუმსა და სხვა ზღვისპირა ქალაქებს.

ეს ყველაფერი ხდებოდა მოსალოდნელი თურქული აგრესიის ფონზე.

უმიძიმეს მდგომარეობას ემატებოდა რევოლუციით გარებული მენშევიკების უნიათობა, უადგილო შემრიგებლობა და გაუბედაობა. რუსული ფლოტი თურქებისაგან დაცვის ნაცვლად, პირიქით ქალაქს ემუქრებოდა. ამიტომ ბათუმის გადასარჩენად აუცილებელი გახდა ამ ფლოტის განიარაღება. ქალაქში წესრიგის მეტ-ნაკლებ დაცვას გვარდიის მცირე ქვედანაყოფი ცდილობდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური - ვლადიმერ გოგუაძე პატრიოტულად განწყობილ ოფიცერთა გუნდთან ერთად.

1918 წლის 17 მარტს ბათუმში სასწრაფოდ ჩამოდის ნოე რამიშვილი, რომლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გარკვეულწილად მოახერხა სიტუაციის განმუხტვა.

ამაზე, მოგვიანებით რევაზ გაბაშვილი წერდა: „როგორც კი გაიგო საქმის ვითარება, ნ. რამიშვილი ცეცხლივით დატრიალდა, შეაგროვა გვარდიელები და განთიადისას, შორიდან ვუყურებდით ქართველებმა როგორ თოფის გაუსროლელად ჩაიგდეს ხელში ჯავშნოსანი გემი („კაროლ კარლი“ ე.გ.) გამოიყვანეს თვალეზმოდმენტილი, პირდაუბანელი 250 მატროსი და ბათუმის ციხეში უკრეს თავი.“ იმავდროულად დააპატიმრეს ნალმოსან „სარატოვისა“ და კატარლების ეკიპაჟები, კიდევ სამასამდე მატროსი. პარალერულად, ქალაქში გვარდიის ოფიცრის - შალვა კილურაძის რაზმმა ალყა შემოარტყა და ნეიტრალიზება უყო ბათუმის ბოლშევიკურ ე.წ. „საზღვაო ასეულს“.

გაზეთი „კავკასკოე სლოვო“ წერდა: „დაპატიმრებისას „კაროლ კარლზე“ აღმოჩნდა ტყავის, საკვები პროდუქტებისა და სხვა საქონლის მნიშვნელოვანი მარაგი. აგრეთვე 5000 შაშხანა. არანაკლები მარაგი იყო „სარატოვზეც“. ჩხრეკისას მატროსებს უპოვეს სულ 800000 მანეთი... ამით ჩვენ, გაბატონებულ მდგომარეობას ვიძენთ ზღვაზე. ასევე დაზღვეული ვართ თურქეთის სადესანტო ოპერაციებისაგან და, საერთოდ, ფლოტის დაუფლებით თავდაცვის საკითხი სანახევროდ გადაწყვეტილია“.

აი ასეთ სიტუაციაში მოხვდა თეოდორ სპადეს, როგორც სამხედრო საზღვაო საქმის უმაღლესი რანგის სპეციალისტის, საქმეში ჩართვა. იგი ჰაერივით სჭირდებოდა მომავალ ქართულ სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომელიც ოფიცრებისა და მეზღვაურთა მწვავე დეფიციტს განიცდიდა.

ერთ დროს, ორ ზღვასშუა გადაჭიმული ქვეყნის შთამომავლებს აუცილებლად სჭირდებოდათ თეოდორ სპადეს მსგავსი „ზღვის ლომები“.

ეხება რა ქართული ფლოტის პრობლემებს, ქართველი მკვლევარი თემურ ჩაჩანიძე აღნიშნავს: „...ეკიპაჟების პრობლემა შეიქმნა და არცთუ მცირე შრომა შავი ზღვის ფლოტის ლავიელმა ლეიტენანტმა-თეოდორ სპადემ გასწია. 1918 წელს ის ამიერკავკასიის კომისარიატის სწრაფსვლიანი კატარლების დივიზიონს მეთაურობდა. იმავდროულად, ფლაგ-ოფიცრის მოვა-

ლეობასაც ასრულებდა, რაც ფლაგმანის, ანუ სარდლის განკარგულების შესრულებას გულისხმობდა“.

ფლოტის სარდალ ა. ჭავჭავაძესთან ერთად მან შეუძლებელი შეძლო და უმოკლეს დროში მოამზადა ფლოტის ოფიცრები, მიჩმანები და მეზღვაურები. ისინი თავდადებით იბრძოდნენ პირველი რესპუბლიკის დასაცავად თურქთა, ბოლშევიკთა, თეთრგვარდიელთა თუ მეხუთე კოლონის წინააღმდეგ.

ქართულმა ფლოტმა არაერთი ბრწყინვალე საბრძოლო ოპერაცია ჩაატარა მიუხედავად ადამიანური და ტექნიკური რესურსების სიმცირისა შავ ზღვაზე, რაც „განაპირობა დივიზიონის მეთაურის, ლეიტენანტ თეოდორ სპადეს საზღვაო გამოცდილებამ. რუსეთის ფლოტის ლატვიელმა ოფიცერმა საქართველოს რესპუბლიკას იმ პერიოდში დიდი სამსახური გაუწია.“ - აღნიშნავს ბატონი თ. ჩაჩანიძე.

ჭავჭავაძისა და სპადეს მომზადებულმა და ორგანიზებულიმა სამხედრო-საზღვაო კადრებმა, ბათუმში შემოჭრილ თურქებს უდანაკარგოდ განარიდეს ქართული ფლოტი. ზღვიდან მხარდაჭერილმა, სახმელეთო ჯარების სარდალმა გენერალმა მაზნიაშვილმა ფლოტთან ერთად გააუვნებელყო თურქთა შენაერთი, რაშიც დიდი როლი ითამაშა პირველად ჩვენს ისტორიაში ქართულმა სადესანტო ოპერაციამ (ოჩამჩირის რაიონში). სოხუმ-გუდაუთის სანაპირო ბრძოლებში გენერალ მაზნიაშვილს 600-მდე ჯარისკაცი ჰყავდა მობილიზებული, რაც მტერთან ბრძოლაში არასაკმარისი იყო. სამხედრო ოპერაციის წარმატება ზღვიდან მხარდაჭერამ განაპირობა. ამასთან დაკავშირებით მაზნიაშვილი წერს: „...ჩემს განკარგულებაში იყო აგრეთვე სამი განმანადგურებელი და ტრანსპორტი „წმ. მიხეილი“. განმანადგურებლები შეიარაღებულნი იყვნენ გოჩის ავტომატური თოფებით, ხოლო ტრანსპორტ „მიხეილზე“ იდგა ორი 3-დიუმიანი ზარბაზანი. ეს გემები დიდ უპირატესობას გვაძლევდნენ“. საინტერესო და შედეგიანი იყო შემდგომი საზღვაო ოპერაციები სოხუმი-სოჭის მიმართულებით. სამხედრო გემის - „მიხაილის“ კაპიტანი მარჯანიშვილი აქტიურად ეხმარებოდა სოჭის მიმართულების ერთ-ერთ სარდალს, პირველი მსოფლიო ომის ლეგენდარულ გმირს გენერალ ტარას ვაშაკიძეს (სხვათაშორის ნუ დავივინყებთ, რომ ტ. ვაშაკიძე დამოუკი-

დებელი საქართველოს ერთ-ერთი ოლქის - ტუაფსეს გენერალ-გუბერნატორი იყო).

1918 წლის მარტში გაზეთი „საქართველო“ სიამაყით იუნ-ყებოდა, რომ ქართულმა „კომანდებმა“ საერთო მომზადება გა-იარეს, სროლაშიც გაიწაფნენ და ამერიკული წარმოების „გრინ-პორტებით“ (ე.წ. გამანადგურებელი კატარღებით) ასრულებ-დნენ საპატრულო, სადაზვერვო თუ საცეცხლე მხარდაჭერის დავალებებს. პატრიოტული სულის ასამაღლებლად, მათ სანომ-რე ნიშნების მაგივრად კონკრეტული სახელებიც დაარქვეს. „აჭარელი“, „კახელი“, „აფხაზი“, „გურული“, „ჭოროხი“ და სხვა.

დივიზიონის მეთაურმა თეოდორ სპადემ წარმატებით ჩაა-ტარა ქართული ფლოტის კომპლექტაცია და საბრძოლო მომზა-დება, რაც მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. მან ჩვეული პასუ-ხისმგებლობით მოაგვარა არსებული პრობლემები და მეზღვაუ-რები საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად მოამზადა.

კოორდინაციას უწევდა ბათუმის გარნიზონის (უფრ. I რან-გის კაპიტანი მაჭავარიანი) და ფოთის გარნიზონის (უფრ. პოლ-კოვნიკი მშველიძე) ურთიერთობას საბრძოლო ხომალდებთან.

საზღვაო ოპერაციებში მტრების, კონტრაბანდისტების თუ სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში ნელ-ნელა იწაფებოდნენ შორეული ნაოსნობის შტურმანი კაპიტანი გოგავა (იგი თ. სპა-დეს წასვლის შემდეგ ასრულებდა გამანადგურებლების მეთაუ-რის მოვალეობას) „პატარა კახის“ მეთაური - ლეიტენანტი ლო-ლობერიძე, „ტარიელის“ - უფრ. ლეიტენანტი ლომბერიძე, „ავ-თანდილის“ - უფრ. ლეიტენანტი ჭითანავა, „ფრიდონის“ უფრ. ლეიტენანტი ჩიკვაიძე.

საქართველოს მთავრობა მცდელობას არ აკლებდა დაე-რეგულირებინა ურთიერთობა როგორც წითელ რუსეთთან, ასევე, დენიკინის თეთრგვარდიელებთან. მეტ-ნაკლები წარმა-ტებით, დროის გარკვეულ მონაკვეთებში, ახებირხებდა კიდეც. თუმცა კონფლიქტები გარდაუვალი იყო. ჩვენი დამოუკიდებ-ლობა ორივე მხარეს აღიზიანებდა და მიუღებელი იყო.

ნეიტრალიტეტის დაცვა შეუძლებელი ხდებოდა. ქარ-თველთა მიერ ისტორიული კუთხის ჯიქეთის დაბრუნებას მწყობრიდან გამოჰყავდა „მგელიც და მგლისფერი ძაღლიც“ და ორივე შეჭმას გვპირდებოდა.

ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმულნი, პარადოქსია, მაგრამ ჩვენთვის მაინც იცლიდნენ. ხშირი იყო ლოკალური შეჯახებები.

წითლები შიგნიდან გვიფეთქებდნენ ქვეყანას, თეთრები კი, ქართულ-სომხური სისხლისმღვრელი ომის დროს, ღიად იბრძოდნენ სომეხთა მხარეს.

დაძაბულობა იყო ზღვისპირა ზოლშიც, სადაც დენიკინსა და შემდგომში კოლჩაკს ანტანტა (კერძოდ: ინგლისი, საფრანგეთი) აქტიურად ეხმარებოდა და ჩვენთან კონფლიქტების დროს ღიად უჭერდა მხარს თეთრგვარდიელებს.

იყო ქართული მცურავი საშუალებების დაკავების და პერსონალის დატყვევების ფაქტები. მაგალითად, კაბოტაჟური სატვირთო ორთქმავალი „საქართველო“ (ყოფილი „ჭოროხი“) 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში ინგლისური დროშის ქვეშ მცურავმა, დენიკინელთა საკანონერო ნავმა დააკავა. ქართულ გემს გაგრაში 120 ჯარისკაცი, ცხენები და პროდუქტები გადაჰქონდა. „ნაგვართვეს ყველაფერი, წაიღეს ფული და რაც კი გვებადა. როგორც კი ტუაფსეში შევედით, ყველანი ნაპირზე გადაგვიყვანეს და ციხეში გაგვგზავნეს“, წერდა შემდგომში ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი. იგივე ბედი ეწია ფოთის პორტის გემს „ფიოდორ ფეოფანს“. ვალში არც ქართული მხარე რჩებოდა. საინტერესო ინფორმაციას გვანვდის სამხედრო ჟურნალ „არსენალის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, მკვლევარი თ. ჩაჩანიძე: „1920 წლის 25 მარტს ფოთიდან დაახლოებით 6,5 მილის დაშორებით ერთ-ერთმა ქართულმა გამანდგურებელმა ქვემეხის სროლით ოთხი რუსული გემი დააკავა და ფოთში შესვლა უბრძანა. 28 მარტს სატვირთო-სამგზავრო „ვოზრაჟდენიეზე“ (წყალწევა 1515 ტონა) ქართველი სამხედროების ჯგუფი ავიდა და ტვირთის - იარაღისა და ამუნიციის გადმოცემა მოითხოვა. ინგლისელთა მოთხოვნის შემდეგ სამი გემი გათავისუფლდა, მაგრამ სატვირთო ორთქმავალი „კაზაკი“ (წყალწევა 967 ტონა) ქართველებმა დაიტოვეს“.

ორმა ქართულმა გამანდგურებელმა კატორღამ სოხუმის პორტში რუსული სამხედრო-საპატრულო ტრანსპორტი „ლეიტენანტი მაკაროვი“ დააკავა. ნაპირზე მყოფი კაპიტანი მეზღვაურებთან ერთად ქართულმა გვარდიამ აიყვანა. თეთრების გემი

კი ფოთში გადაიყვანეს. ქართულმა მხარემ კატეგორიულად არ დათმო და ბოლომდე შეინარჩუნა სამხედრო გემი. დენიკინელებმა მტკიცედ მოითხოვეს გემის უკან დაბრუნება და ორი საესკადრო ნაღმოსანი გამოგზავნეს - „ჟივოი“ და „დერზსკი“, მათ მოკავშირე ფრანგული ნაღმოსანი „V“-ს ამოუდგა მხარში და ფოთის დაბობმვა დაგეგმეს თუმცა ბედნიერი შემთხვევის წყალობით (მტორმი ამოვარდა) ეს ოპერაცია არ შედგა.

ინიციატივიანი, დისციპლინირებული ოფიცერი თ.სპადე ავტორიტეტითა და კარგი რეპუტაციით სარგებლობდა ქართულ სამხედრო წრეებში. მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი და ქვეშევრდომთა მიმართ, პირადად მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში - ზღვაზე თუ სანაპირო გარნიზონებში.

თეოდორს მეუღლის ქვეყანა მეორე სამშობლოდ მიაჩნდა. სწორედ აქ იგრძნო მან რუსეთის იმპერიის მარწუხებისგან დახსნის ხიბლი, დამოუკიდებლობის ფასი და თავისუფლების სურნელი, რასაც რა თქმა უნდა პირადი ოჯახური ბედნიერებაც ავსებდა. ოცნებობდა ლატვიაში დაბრუნებაზე და მის ალორძინებაში აქტიურად ჩაბმას გეგმავდა, რაც შეასრულა კიდეც, თუმცა უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა.

ომის მუხანათობამ იგი თურქთა ტყვედ აქცია, რაც დიდი დანაკლისი იყო ქართული ფლოტისათვის, ხოლო ნადეჟდასათვის უდიდესი პირადი ტრაგედია. გოგონამ მტკიცედ გადაწყვიტა მეუღლის თურქთა ტყვეობიდან გამოხსნა, გაყიდა პირადი და საოჯახო ძვირფასეულობა, „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა და ოსმალეთში ჩააკითხა თ. სპადეს. გამოხსნის დეტალები ჩვენთვის უცნობია, ვიცით, რომ 1918 წლის ოქტომბერში ცოლქმარმა მოახერხა ბათუმში დაბრუნება.

ლატვიის საკონსულოს მონაცემებით, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აქ მყოფი დაახლოებით 600-მდე ლატვიელი გამოთქვამდა სურვილს ლატვიაში დაბრუნებისა. ეს სერიოზული პრობლემა იყო. ისინი ძირითადად სანავსადგურო ქალაქებს მიანყდნენ და ცდილობდნენ გაეღწიათ სამშობლოში. სპადეს ოჯახმაც გადაწყვიტა დაბრუნება, მაგრამ წინ კიდევე ბევრი დაბრკოლება ელოდათ.

ბათუმიდან სპადე გადადის სევასტოპოლში დენიკინთან,

სადაც მეფის ყოფილი საზღვაო ოფიცერი აქტიურად მონაწილეობს სამხედრო ოპერაციებში ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამ დროს თეთრების არმიაში 3-დან 4-ათასამდე ლატივიელი მსახურობდა. ბევრი ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ ბედის ირონიით თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის მაგივრად იმ არმიაში უწევდათ სამსახური, რომელიც იბრძოდა „ერთიანი, განუყოფელი რუსეთისთვის“.

თ. სპადეს ბიოგრაფი იურის ციგანოვსი წერს: „ლატივიური სიჯიუტე, შეგნება და ადრე მიცემული ოფიცრის ფიცი აიძულებდა თ. სპადეს სინდისიერად ემსახურა. 1918 წლის ოქტომბერში იგი იყო მეკავშირე ოფიცერი დენიკინის არმიის შტაბში, შემდეგ იგივე თანამდებობაზე ყირიმის ოლქის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1919 წლის დასაწყისში თ. სპადე ისევ სამხედრო გემებზე მსახურობს. ივნისში იგი დაინიშნა ქ. სევასტოპოლის კომენდანტად.....“ შემდეგ შტაბში, ისევ სამხედრო გემებზე და ა.შ.

ბოლშევიკური იმორალიზმი აბსოლუტურად მიუღებელი იყო მისთვის, სწორედ ამიტომ ებრძოდა განსაკუთრებული მონდომებითა და შემართებით წითლებს.

თუმცა საბოლოოდ ეს ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა.

დამარცხდა თეთრების არმია 1920 წლის ნოემბერში თ. სპადემ რომელიც იმ დროს სამხედრო გემის კაპიტანი იყო უდანაკარგოდ ჩაიყვანა თავისი „კამანდა“ კონსტანტინოპოლში, სადაც მას უკვე ელოდა საყვარელი მეუღლე.

იმავე წლის დეკემბერში თეოდორი მეუღლესთან ერთად ბრუნდება ლატვიაში, როგორც დამოუკიდებელი ლატვიის მოქალაქე. შესაბამისი დოკუმენტები მათ კონსტანტინოპოლში - ლატვიის საელჩოში გააფორმეს. ასე დამთავრდა მისი მრავალწლიანი ოდისეა შავ ზღვაში. ეხლა მას ასე ნანატრი, მშობლიური ბალტიის ზღვა ელოდა. ცოლ-ქმარი საბოლოოდ რიგაში დაფუძნდა, სადაც იმავე წელს დაიწყო მომავალი ადმირალის ბრწყინვალე სამხედრო-საზღვაო კარიერა კაპიტნიდან, სამხედრო საზღვაო ძალების სარდლამდე.

ახალი შემართება, ენთუზიაზმი, სიამაყე ... სულ სხვა გრძნობაა იღვანოდე საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის. აქ მას საშუალება მიეცა თავისი ნი-

ჭის და უნარის გამოვლენისა. ხელმძღვანელობდა სხვადასხვა საზღვაო ესკადრას, და საზღვაო ობიექტებს. განათლება მიიღო საფრანგეთის საზღვაო აკადემიაში, მივლინებული იყო შვეციისა და საფრანგეთის ფლოტში. თავდადებისა და მამაცობისთვის და-იმსახურა ბალტიისპირეთის ქვეყნების ასევე, საფრანგეთის, პოლონეთის, ფინეთის, შვეციის, გერმანიის პრესტიჟული საზღვაო ორდენები. უფრო ადრე რუსეთის იმპერატორმა და დენიკინმაც დაუფასა განეული სამსახური ღირსეულად. საქართველოს კი ორდენების გასაცემად არ ეცალა (თუმცა არც ეხლაა გვიან).

თ. სპადე ბედნიერია, როგორც არასოდეს. ემსახურება მშობლიურ ქვეყანას და გვერდს უმშვენებს საყვარელი მეუღლე. ნადეჟდა ყველანაერად ხელს უწყობდა მეუღლეს საქმიანობაში, რომელსაც ეამაყებოდა გვერდით ლამაზი, განთლებული, არისტოკრატიული გარეგნობის ცოლის ყოლა. მათი სიყვარულის ისტორია ცალკე სასაუბრო თემაა. ლამაზი წყვილი ელიტარულ საზოგადოებაში ხშირად ტრიალებდა და ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყვნენ.

აღსანიშნავია ცოლ-ქმრის განსაკუთრებული, თბილი დამოკიდებულება ქართული დიასპორისადმი. თეოდორს პირადი მეგობრობა აკავშირებდა დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილ გენერალ-გუბერნატორ შალვა კერესელიძესთან და მის ოჯახთან. ბატონი შალვა, ოჯახთან ერთად რიგაში დაფუძნდა. ის და მისი შვილი გაიოზი ფლობდნენ ლატვიურ ენას და კარგად იცნობდნენ ამ ქვეყნის კულტურას. დიასპორასთან თუ ოჯახურ შეხვედრებზე ხშირი იყო საუბრები საქართველოზე, მის მომავალზე. ლატვიელები გულწრფელად თანაუგრძნობდნენ ბოლშევიკების მარნუხებში მოქცეულ საქართველოს და იმედს გამოთქვამდნენ, რომ მალე მოვიპოვებდით თავისუფლებას.

ნადეჟდა შველიძე გვერდში ედგა და მფარველობდა რიგის მცირერიცხოვან, მაგრამ საკმაოდ აქტიურ ქართულ სათვისტომოს. აქტიურად მონაწილეობდა მათ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში. 1934 წელს ერთ-ერთ შეხვედრაზე წაიკითხა საინტერესო რეფერატი თემაზე: "მარიამი - უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი" (პროფ. ნ. ჯავახიშვილი, "ნარკვევი ქართულ-ლატვიური ურთიერთობების ისტორიიდან").

ქართული ფლოტის თემატიკაზე სტატიებს აქვეყნებდა

ასევე ადმირალი სპადე. მაგალითად რუსული ემიგრაციის საზღვაო ჟურნალში "ОВЫЙ САД". გამოაქვეყნა სტატია "ამიერკავკასიის კომისარიატის ფლოტი".

ევროპაში მოღვაწეობის პერიოდში ნადეჟდა განუყრელად მეუღლის გვერდით იყო. ფაქიზი და მგრნობიარე ქალის ჯანმრთელობას თავისი კვალი დააჩნია განვლილმა მძიმე ცხოვრებამ. სპადე ყურადღებას არ აკლებდა და დაჰყავდა მეუღლე სამკურნალოდ საფრანგეთის, შვეიცარიის კლინიკებში. 1937 წლის 7 აგვისტოს, ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ნადეჟდა შველიძე-სპადე ლოზანის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. სპადეს ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს იყო: "თ. სპადეს პერსონალური ტრაგედია". იგი მართლმადიდებლურ პოკროვსკის სასაფლაოზე დაკრძალეს. ლამაზი ქალბატონის საფლავს ასევე ლამაზი მწუხარე ქალის ბრინჯაოს ქანდაკებები ამშვენებდა (მოგვიანებით ვანდალებმა მოიპარეს).

ორმოციანი წლები მართლაც რომ ტრაგიკული აღმოჩნდა ადმირალისთვის. ოჯახურ ტრაგედიას მალე მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტიც დაემატა, რასაც ლატვიაში საბჭოთა ტანკების შეჭრა მოჰყვა.

ეს იყო 1940 წლის ივნისში.

ლატვიის პრეზიდენტმა-კარლის ულმანისმა ვერ გაბედა (ან სისხლისღვრას მოერიდა) მტერთან შეხება. ლატვიას ამ დროს კარგად შეიარაღებული, მობილური არმია ჰყავდა (30000 კაცზე მეტი). საკმაოდ ძლიერი იყო მათი ფლოტიც.

თ. სპადეზე, როგორც სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცზე, ძალზედ მტკივნეულად იმოქმედა პრეზიდენტის უმოქმედობამ და მისმა ბრძანებამ - "დარჩით ადგილებზე, მეც თქვენთან ვრჩები".

მას ვერ წარმოედგინა როგორ შეიძლებოდა უბრძოლველად დანებება და მთავრობას წინააღმდეგობის განევის და შემდეგ ემიგრაციაში წყალქვეშა ნავით გაყვანისკენ მოუწოდებდა. პარალელურად ფლოტი მაქსიმალურად მოამზადა საბრძოლველად.

ბრძოლა არ შედგა. მისი ბიოგრაფიიდან აშკარად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადმირალმა სიცოცხლის ბოლომდე ვერ აპატია თავისი ქვეყნის მთავრობას უმოქმედობა, თუმცა ბრძანება უსიტყვოდ შეასრულა.

თეოდორის წარმოდგენაში ლატვიის მთელი ფლოტი ერთ დიდ გემს დაემსგავსა, რომელიც იძირებოდა და მისი, როგორც კაპიტნის ვალი იყო მასთან ერთად დაღუპულიყო, თუმცა ასე არ მოხდა.

იგი არ დასწრებია საყვარელი ფლოტის „ნებაყოფლობით გადაცემის ცერემონიალს“, რომელსაც რუსი ოკუპანტების მცდელობით საზეიმო ხასიათი მიეცა.

წითელ-თეთრ-წითელი დროშის დაშვება მისი საადმირალო „ვირსაიტისიდან“ და ლატვიის ფლოტის ლიკვიდაცია ცხოვრებას უაზროს ხდიდა. ადმირალი, თავისთავად მიუღებელი იყო ოკუპანტებისათვის და არასასურველთა კატეგორიაში განიხილებოდა, რომელთა განადგურების მდიდარი გამოცდილება გააჩნდათ ბოლშევიკებს.

სტალინური რეჟიმისათვის წამება და ცინიზმი ყოველდღიურ მოთხოვნილებად იყო ქცეული. ამის ნათელი მაგალითია სპადეს, ჯერ ისევ ადმირალის, გამოძახება მოსკოვში ფლოტის გადასაბარებლად.

ლატვიის ფლოტი, წითლების ბალტიის ფლოტს მიუერთეს. თეოდორი სსრკ სამხედრო საზღვაო ძალების კომისარმა - ნ. კუზნეცოვმა „მიიწვია“ ვითომცდა ფლოტის მდგომარეობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად. სპადე ჩვეული აკურატულობით გამოცხადდა შესაბამისი დოკუმენტაციით. აქ მას სიურპრიზი ელოდა. მოულოდნელად, კომისრის კაბინეტში ორმა ტყავისქურთუკიანმა ჩეკისტმა ხელები გადაუგრიხა, კუზნეცოვმა კი მიაძახა, რომ იგი სტალინის ბრძანებით ჩამოშორებულია ფლოტს და განადგურებას ექვემდებარება.

- „ვერ გამტეხთ! - განუცხადა მან მოსკოვის „კრესტების“ ჯალათებს. თუმცა გასატეხი არც არაფერი იყო, იმდენად ნათელი იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ მისი შეურიგებელი ბრძოლის მთელი გზა.

ამის შემდეგ იწყება „გოლგოთას გზა“ ციმბირისა და ყაზახეთის გულაგებში. დახვრეტას შემთხვევითობის გამო გადაურჩა (ბადრაგის დაუდევრობით სხვა ეშელონში მოხდა და პატიმართა მორევში ჩაიკარგა).

ასე გადაიქცა ადმირალი სპადე გულაგების პატიმრად, მისთვის უცხო საბჭოთა „ხალხის მტრად“. მაინც არ გატყდა,

ზეკებისა და ზედამხედველების სამყაროშიც კი შეინარჩუნა ადამიანური სახე. მეტიც, ავტორიტეტით სარგებლობდა და გარშემომყოფნი ყველგან პატივისცემით ეპყრობოდნენ.

სტალინის სიკვდილის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა „ხრუშოვის დათმობის“ პერიოდმა ბოლომდე მაინც ვერ უშველა. მისი მაინც ემინოდათ და არ ენდობოდნენ, ამიტომ მშობლიურ ლატვიაში ჩასვლა აუკრძალეს და მეტალურგიის პროვინციულ ქალაქ - ტიმერტაუში (ყაზახეთი) გადაასახლეს. „ზღვის ლომი“ აქ ინფექციურ საავადმყოფოში მუშაობდა მთავარ ბუღალტრად და შორეულ ლატვიასა და ბალტიის ტყვიისფრად აქოჩრილ ტალღებზე ოცნებობდა. აქაც პატიოსნად და მონდომებით მუშაობდა. მისი პიროვნული თვისებები გამორიცხავდნენ საქმისადმი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. იგი საყოველთაო პატივისცემით და პატივისცემით სარგებლობდა. მეგობრობდა მასავით გადასახლებაში მყოფ მწერალ - ვლადიმირ ლევიცკისთან. ლევიცკი აპირებდა მისი ბობოქარი ცხოვრების ავტობიოგრაფიულ აღწერას, თუმცა განთავისუფლების შემდეგ ეს თემა მიივინყა. ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონდა თბილისელ გერმანელ ქალთან - კორნელია ნოვიკოვასთან, რომელიც უვლიდა და ყველანაირად უმსუბუქებდა მძიმე მდგომარეობაში მყოფ გადასახლებულს.

მიუხედავად აკრძალვისა, თეოდორი პერიოდულად ახერხებდა ლატვიაში ჩასვლას და ახლობლების მონახულებას. მან ასევე ჩააკითხა თბილისში მცხოვრებ მეგობარ ქალბატონს - კორნელიას. მასთან ერთად იგი ეწვია ბათუმს, სადაც ბედისწერამ ის ნადეჟდა შველიძესთან მარადიული სიყვარულით დააკავშირა.



ლატვიის ეროვნული გმირი
თეოდორ სპადე



ნადეჟდა შველიძე

თეოდორ სპადემ მოინახულა ის ადგილები, სადაც იგი იბრძოდა ქართულ ფლოტში სამსახურის პერიოდში.



ნადეჟდა შველიძის სასაფლაო რიგაში

გადასახლებაში თეოდორი რჩებოდა ემოციურ, ყურადღებთან და რომანტიულ პიროვნებად. ცნობილია, რომ როდესაც

ტიმერტაუში საგასტროლოდ იმყოფებოდა ცნობილი ლატვიელი მევიოლინე ლიდე რუბანე, მან შუა ზამთარში სადღაც მოახერხა და იშოვა თეთრი ვარდების თაიგული და მიაღწია ხელოვანს.

თეოდორ სპადე გარდაიცვალა 1970 წლის 25 ივლისს. 1990 წელს ლატვიელ ენთუზიასტთა ჯგუფმა მოახერხა ღვანღმოსილი ადმირალის სამშობლოში გადმოსვენება. ლატვიის ეროვნული გმირი რიგის ე.წ. „ლესნოის“ სასაფლაოზე დაკრძალეს.

ლატვიელი ხალხი ამაყობს, და ღირსეულ პატივს მიაგებს საოცარი ბიოგრაფიის მქონე მამულიშვილს.

Badri Goguadze

From the history of Theodore Spade - Latvia national hero activity in Georgia

Summary

Based on the rich scientific literature in article is represented main issues of life and work of Theodore Spade-Latvian admiral, and also his contribution and merit to Georgia.

**პორტო-ფრანკოს გაუქმების საკითხისათვის
ბათუმში
(საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით)**

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების საკითხი აქტიურად ბერლინის კონგრესზე დაისვა. ყველასათვის ცნობილია, რა ბატალიები გამოიწვია საერთოდ მოლაპარაკებებზე ბათუმის საკითხმა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. ვ. თბილისი, 1970) და რამდენჯერ იყო საფრთხის ქვეშ ბათუმის დედა-სამშობლოს წიაღში საბოლოოდ დაუნჯების საკითხი. ამ ფონზე რალაც დათმობასავით გამოსდიოდა რუსეთის ხელისუფლებას ბათუმის ნავსადგურის არსებითად კომერციულ ნავსადგურად გამოცხადებასა და ქალაქის პორტო ფრანკოდ გამოცხადებაზე დათანხმება (ვლადიმირ სიჭინავა, 1958).

პორტო ფრანკო გარკვეურწილად ბრიტანელთა ინიციატივით ფუნქციონირებდა 1878-1886 წლებში, როგორც უბაჟო (თავისუფალი) საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეჟიმი, მაქსიმალურად ლიბერალური საგადასახადო სისტემის წყალობით. როგორც ვიცით პორტო-ფრანკო, სიტყვა-სიტყვით თავისუფალ ნავსადგურ ნიშნავს და ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადების იდეა ინგლისს ეკუთვნოდა. ინგლისელმა დიპლომატებმა ბერლინის კონგრესზე მოითხოვეს ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება და თავისი გაიტანეს კიდეც. ბერლინში დადებული ხელშეკრულების მერვე პუნქტის მიხედვით, რუსეთს ბათუმი პორტო-ფრანკოს სტატუსით გადაეცა. რუსეთის იმპერიაში ბათუმი მესამე პორტო-ფრანკო იყო, ოდესისა და ვლადივოსტოკის შემდეგ. უნდა ითქვას, დიდწილად სწორედ პორტო ფრანკოს დამსახურება იყო რომ მაშინდელი რუსეთის იმპერიის ამ ნაკლებდასახლებული განაპირა პროვინციით დაინტერესდნენ ცნობილი ნავთობმრეწველი ინვესტორები - ლუდვიგ ნობელი, ალექსანდრე მანთაშევი, როთშილდების დინასტია და სხვ.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მეტნაკლებად უარყოფითადაა შეფასებული ფორტო ფრანკო და ლამის ამ რეჟიმზეა გა-

დაბრალებული ქართველთა მასიური გადასახლება ამ ძირძველი კუთხიდან. „ბათუმის პორტო ფრანკოდ გამოცხადებამ მშრომელი მოსახლეობისათვის კიდევ უფრო აუტანელი გახადა ახლად დანერგილი რუსულუი მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი. ვლადიმირ სიჭინავა. 1958:94, 101) რა თქმა უნდა, ფორტო-ფრანკოს რალაც წვლილი ნამდვილად მიუძღვის, ამაში ეკონომიკურ სიდუხჭირეს მორგებული ცარიზმის აუტანელი მექრთამეობით, თუმცა ქართველთა ამ კუთხიდან აყრა უმთავრესად მაინც სწორედ რუსეთისა და თურქეთის იმპერიების მიზანს წარმოადგენდა რაშიც ნაწილობრივ პორტო-ფრანკოსაც იყენებდნენ უფრო ბრმა იარაღად.

მნიშვნელოვანწილად სწორედ პორტო-ფრანკომ შეუწყო ხელი მაშინდელ მსოფლიოში ყველაზე გრძელი ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის რეალიზებას.

რეჟიმის მოქმედების მცირე ინტერვალის მიუხედავად, ბათუმი სწრაფად მზარდი ევროპული ტიპის ქალაქად იქცა. თუმცა ახალ პირობებში მოქმედების გამოუცდელობის გამო, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის გაღარიბების პროცესების შეჩერება. იმრავლა კორუფციამ და კონტრაბანდამ. დავით კლდიაშვილის თქმით, „რაკი ბათუმი პორტო ფრანკო იყო, ყოველი მგზავრის ბარგი ბათუმიდან გამგზავრების დროს უნდა გაეჩხრიკათ საბაჟოში და ხელმეორედ ფოთში მისვლისას. ეს იმისთვის, რომ კონტრაბანდით არ გაეტანათ რამე ბათუმიდან. ამ ნიადაგზე ბევრ არასასიამოვნო შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ბევრი სასაცილო ამბავიც ხდებოდა. ნამეტურ ქალები აწარმოებდნენ კონტრაბანდისტობას; ბევრს იჭერდნენ, მაგრამ ბევრს ისე გაჰქონდა კონტრაბანდა, რომ საოცარი იყო მათი ამბავი“ (დავით კლდიაშვილი. 2013:182).

აღნიშნულის შესახებ შესახებაც გულისტკივილით წერდა ილია ჭავჭავაძე: „ჩვენს გაზეთში ამას წინად კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი ბათუმიდან და აღწერილი იყო სხვადასხვა შევიწროება საბაჟოს მოხელეთაგან. რასაკვირველია,

ბევრი რამ ამისთანა თვით კანონის მიერ მიჩნეულ წესების ბრალი იყო, ხოლო ზოგი თვით მოხელეებისა. ბათუმის საბაჟო გამგეობა ცოტა არ იყოს დაგვემდურა ამ კორესპონდენციის გა-

მო და ჩვენს კორესპონდენტსაც ტყუილი შესწამა. არ გასულა ამის შემდეგ ერთი-ორი კვირა და ახლა მოსკოვის გაზეთში დაიბეჭდა კორესპონდენცია იმავე საგანზედ და ამით სიმართლე ჩვენის კორესპონდენტისა თითქმის სიტყვა-სიტყვით დამტკიცდა. ეხლა ხომ თვითონ მთავრობამაც გამოაცხადა, რომ ეგ შევინორებანი მართლად არსებობდნენ და სხვათა შორის იგინიც შეიქმნენ მიზეზად, რომ დღეს მთავრობამ საჭიროდ დაინახა, – ეგრეთწოდებული „პორტო-ფრანკო“ მოსკოს სამუდამოდ ბათუშში. ჩვენ რომ ჩვენის საკუთარის ქვეყნის ინტერესებით შევხედოთ გაუქმების საქმეს, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არც პორტო-ფრანკოს ყოფნას მოჰქონდა ჩვენთვის სარგებლობა და არც მისი არყოფნა ზარალს მოგვიტანს. რა იყო ის პორტო-ფრანკო? ვისთვის იყო? ბათუშში შეეძლოთ უბაჟოდ შემოტანა საქონლისა და გადატანა კი უბაჟოდ არ შეიძლებოდა. ვისთვის რა ხეირი იყო? ორიოდვე ვაჭრისათვის და თვით ბათუშში მცხოვრებთათვის, სხვას არავის აქედამ არც რგება ჰქონდა არც გამორჩომა. შენუხება კი ბევრი იყო ბათუმის გარშემო მოსახლე მცხოვრებთათვის და ბათუშში გზად მიმავალ-მომავალისათვის. ქალაქიდან ორ ნაბიჯზედ შორა ფეხის გადადგმა არ შეიძლებოდა ისე, რომ საბაჟო მზვერავთა ხელში არ ჩავარდნილიყო კაცი, ერთი დავიდარაბა არ ასტეხოდა, აქეთ-იქით არ ეთრივათ, მინამ ნებას მიიღებდა ბათუშიდამ გასვლისას. ათასნაირი ჩივილი, სამდურავი, საყვედური, ავად ხსენება, ზოგი მართალი, ზოგი ტყუილი, ტყუილუბრალოდ გულს უმღვრევდნენ როგორც თვითონ მოხელეებს, ისეც საზოგადოებასა.

ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, დაწვრილებით არ ვიცით ზემოხსენებულ გარდა, რაში ვარგობდა ეგ პორტო-ფრანკო. იქნება რაშიმე გამოსადეგი იყო ვისთვისმე, ხოლო თუ სახეში მივიღებთ იმ გაჭირებას და შენუხებას, რაც მის გამო ხალხს ედგა, ვგონებ, საბუთი გვქონდეს სიხარულით მივეგებოთ მაგ პორტო-ფრანკოს გაუქმებას, რომელიც მარტო სახელი იყო და არა სახრავი ქვეყნისათვის. თვითონ ბათუშმა იქნება მაგით ცოტად თუ ბევრად იხეირა, მაგრამ ეგ ხეირი საზოგადოების კისრიდამ იყო ამოღებული...“ (ილია ჭავჭავაძე, 2012).

პორტო-ფრანკო ინყებოდა მდინარე სარი-სუდან (თანამედროვე ბათუმის პორტის შენობის ცენტრალური შესასვლე-

ლის მიღებარე ტერიტორია), გადიოდა დაუსახლებელ, დაჭაობებულ ვაკეზე (დაახლოებით თანამედროვე პუშკინის ქუჩა) და მთავრდებოდა თანამედროვე ჯავახიშვილისა და გრიბოდვოს ქუჩების გასწვრივ. დაახლოებით 22 კვადრატული კილომეტრის ფართობი ღრმა თხრილითა და მავთულხლართით იყო შემოსაზღვრული. ამის იქეთ გატანილ ნებისმიერ საქონელზე ყველას ბაჟი უნდა გადაეხადა.

ბათუმის პორტო-ფრანკოში ქალაქის გარშემო 12 საგუშაგო იდგა, ყოველი გამვლელ-გამომვლელი იჩხრიკებოდა; კორუფცია და მექრთამეობა ყვაოდა. საბაჟოზე, ძირითადად, წვრილმან კონტრაბანდისტებს აკავებდნენ, ამიტომ ხალხი მუდმიდავ უკმაყოფილო იყო. თუმცა ნუ დავგავინწყდება რომ კორუფცია პორტო-ფრანკოს გამო კი არ ყვაოდა ეს თვითმყრობელობის ყველაზე დიდი სენი იყო ისედაც. მიუხედავად ყველაფრისა პორტო-ფრანკომ ბათუმს განსაკუთრებული მომხიბვლელობა რომ შესძინა ამაზე ალბათ არავინ დაობს (რევაზ უზუნაძე, რამაზ სურმანძე, ნუგზარ ზოსიძე, 2013). გაიზარდა ბათუმში ჩამოსულ მოგზაურთა, საქმოსანთა თუ უბრალო ცნობისმოყვარეთა რიცხვი. 1885 წელს ქალაქში 34 500 მეტი უცხოელი ყოფილა. საბაჟოს გვერდის ავლით, სხვადასხვა ხერხით, კონტრაბანდის სახით, ბევრი მათგანი ცდილობდა იაფად ნაყიდი ევროპული საქონელი გაეტანა ქალაქიდან გასვლისას (ვლადიმირ სიჭინავა, ბათუმი, 1958)

ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსით რუსი ვაჭრები იყვნენ უკმაყოფილონი, ალბათ მაინც იმპერიული ხელისუფლების გავლენით, ვინც ვერ უწყობდა ფებს ახალ კაპიტალისტურ აღებ-მიცემობას და თემური ნყობილების დროინდელი ვაჭრობის წესებით ცხოვრობდა.

პორტო-ფრანკოს მთავარი მოწინააღმდეგე მაინც რუსეთის იმპერია იყო. 1883 წლის 12 ივნისს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ბათუმის ოლქი გაუქმდა და ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობა დამტკიცდა. გუბერნატორის თანაშემწე უშუალოდ ბათუმის ოკრუგს განაგებდა.

1886 წლის ზაფხულში საერთაშორისო ხელშეკრულება,

რომლის მიხედვითაც ბათუმი თავისუფალი ნავსადგურის სტატუსით სარგებლობდა, რუსეთმა ცალმხრივად შეწყვიტა. ბათუმის პორტო-ფრანკო ისტორიას ჩაბარდა.

1920 წელს, კვლავ ბრიტანელთა ინიციატივით ისევ დაიწყო ბათუმში ფრანკო რეჟიმის პროექტზე მუშაობა, რასაც, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად უჭერდა მხარს მაშინდელი ერთა ლიგა, მაგრამ 1921 წელს საბჭოთა ოკუპაციამ საქართველოში შეაჩერა აღნიშნული პროექტის რეალიზება.

ბათუმის პორტო ფრანკოზე უამრავი რამ დაწერილა და უამრავჯერ განხილულა კიდეც. ამჟამად ჩვენ შემოგთავაზებთ პორტო ფრანკოსთან დაკავშირებულ ბრიტანულ მასალებს რომელიც აჭარის არქივშია დაცული.

განსაკუთრებით საინტერესოა ბრიტანელთა რეაქცია პორტო ფრანკოს გაუქმებასთან დაკავშირებით, რომლის ამსახველ მიმოწერის ნაწილსაც წარმოგიდგენთ.

პირველი დოკუმენტი გახლავთ 1986 წლის სამი ივლისით დათარიღებული შემდეგი ეს დეპეშა:

” ბატონი რ. მორიერი გრაფ როუზბერის

ბატ. დე გირსმა არაოფიციალურად მაცნობა რომ იმპერატორმა გადაწყვიტა გააუქმოს ბათუმის თავისუფალი პორტის რეჟიმი, რომლის წინააღმდეგაც მოსახლეობა გამოდის.

რუსეთის მთავრობა დარწმუნებულია რომ ეს ღონისძიება არ განიხილება როგორც ბერლინის შეთანხმების დარღვევა, რადგანაც შეთანხმების IX მუხლი წარმოადგენს მხოლოდ სპონტანურ დეკლარაციას განსვენებული იმპერატორისას (ალექსანდრე II 1855-1881 ფ.ქ) და არა ვალდებულებას.. (ას არტიკლე IX ოფ ტჰატ თრეატყ ონლყ რეგისტერს ა სპონტანეოუს დეცლარატიონ ოფ ტჰე ლატე მპეროორ, ანდ დოეს ნოტ პოსსესს ტჰე ფორცე ოფ ა სტიპულატიონ) გარდა ამისა ბათუმი დარჩება არსებითად კომერციულ პორტად. და ეს ქმედება არაფერს არ ცვლის შავი ზღვის ძალთა განლაგებაში //საქმეთა ფაქტიურ ვითარებაში.

ლონდონში რუსეთის ელჩისაგან მოთხოვნილია მოგვცეს საჭირო განმარტებები.” (აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. აღწერა, ტ 1; საქმე 2).

გრაფი როუზბერი-ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო იმ პერიოდში, (როგორც ვიცით შემდგომში, 1894-1895 წლებში პრემიერ მინისტრი. არჩილბად ფილიპ ფრომროუზი, როუზბერის მეხუთე გრაფი). რობერტ მორიერი (დობერტ ურნეტტ ავიდ ორიერი) იყო ბრიტანეთის ელჩი რუსეთში 1884-1893 წლებში, ხოლო ნიკოლოზ დე გირსი გახლდათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ასე რომ საუბარი იმპერიათა უმაღლეს პირებს შორის წარმოებდა. როგორც ვხედავთ, რუსეთი ცდილობდა ამ გადანაცვეტილების უმნიშვნელობაზე გაეკეთებინა აქცენტი.

”გრაფი როუზბერი ბატონ რ. მორიერს

საგარეო საქმეთა ოფისი 1886 წლის 3 ივნისი. 4:10

ჩვენ ველოდებით დეტალებს და რუსეთის ელჩის განმარტებებს, მაგრამ არაფერია შენგან გამოგზავნილ ბატ.. დე გირსის განმარტებაში ისეთი, რომელიც შეცვლის ჩვენს წარმოდგენას ბერლინის შეთანხმების მიმდინარე აშკარა დარღვევაზე.” (აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. აღწერა, ტ 1; საქმე 2).

ბუნებრივია რომ ბრიტანულ დიპლომატიას თვალთმაქცობით ვერ მოატყუებდნენ.

”გრაფი როუზბერი ბატონ რ.მორიერს

საგარეო საქმეთა ოფისი 1886 წლის 3 ივნისი.

მე მივიღე და გადავეცი დედოფალს თქვენი ბრწყინვალეობის დეპეშა, რომლითაც ამ დღეებში ბ. დე გირსმა არაოფიციალურად გაცნობათ რომ იმპერატორს გადაწყვეტილი აქვს გააუქმოს ბათუმის თავისუფალი პორტის რეჟიმი, რომლის

წინააღმდეგაც მოსახლეობა გამოდის. და რომ რუსეთის მთავრობა დარწმუნებულია ეს ღონისძიება არ განიხილება როგორც ბერლინის შეთანხმების დარღვევა, რადგანაც შეთანხმების IX მუხლი წარმოადგენს მხოლოდ სპონტანურ დეკლარაციას განსვენებული იმპერატორისას და არა ვალდებულებას.. გარდა ამისა ბათუმი დარჩება არსებითად კომერციულ პორტად. და ეს ქმედება არაფერს არ ცვლის შავი ზღვის ძალთა განლაგებაში // საქმეთა ფაქტიურ ვითარებაში.

მისი ბრწყინვალეობის მთავრობა დაელოდება დეტალებს და განმარტებებს რომელსაც თქვენი ბრწყინვალეობა მაცნობებს და იქნება რუსეის ელჩისგან ამ საგანის არსზე ინფორმირებული; მაგრამ თქვენთვის ბატ. .დე გირსის მიერ უკვე მოცემული ინ-

ფორმაცია არასგზით არ ცვლის მის ბრწყინვალეობის მთავრობის მიერ მიღებულ შთაბეჭდილებას რომ ანონსირებული გადაწყვეტილება არის 1878 წლის შეთანხმების აშკარა დარღვევა.“ აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. აღწერა, ტ 1; საქმე 2).

საინტერესოა ბისმარკის შეხედულება ამ საკითხზე. იგი, როგორც ელჩი გადმოსცემს:

”ბატონი რ.მორიერი გრაფი როუზბერის

სანკტ პეტერბურგი 1886წლის 3 ივნისი.

მაქვს მიზეზი ვერწმუნო პრინც ბისმარკს, რომელიც განმარტავს მისდათავად, რომ ბერლინის კონგრესის IX მუხლის ანულისების შედეგი არ ეხება გერმანიის მნიშვნელოვან ინტერესებს” (აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. აღწერა, ტ 1; საქმე 2).

არ არის გასაკვირი რომ გენიალური პოლიტიკოსი ოტო ფონ ბისმარკი მხოლოდ გერმანიის ინტერესებიდან გამოდიოდა და ნაკლებად აფიქრებდა ბრიტანეთის მიზნები.

„გრაფი როუზბერი ვისკონტ ლიონს //საგარეო საქმეთა ოფისი 1886წლის 3 ივნისი.

რუსეთი აცხადებს რომ ბათუმი წყვეტს თავისუფალ პორტად ყოფნას

უეჭველია მთავრობა რომელთანაც გაქვს აკრედიტაცია განაცხადებს ამას. მაგრამ საბოლოოდ გაარკვიეთ ამ საგანზე მათი აზრი, რომელიც არის ბერლინის შეთანხმებაზე ყველა ხელმომწერის პრობლემა.“ (აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. აღწერა, ტ 1; საქმე 2).

გრაფი როუზბერი წერდა მორიერს რუსეთის ელჩთან საუბარზე, სადაც მან აღშფოთება გამოთქვა რუსეთის მიერ შეთანხმების ცალმხრივად გაუქმების შესახებ და ეუბნებოდა ელჩს, რომ ყველა ხელმომწერთან ერთად უნდა გვემსჯელა ამაზეო, თან განმარტავს, რომ ბათუმი თავის როლს დაკარგავს ამიერკავკასიაში და მას უკვე მხოლოდ რუსეთისათვის ექნება მნიშვნელობაო. ბუნებრივია, ბრიტანეთს ყველაზე მეტად ჭირდება ბათუმის თავისუფალი პორტი ნავსადგურში, რაც შეეხება თურქეთი მას აფიქრებს ის რომ ამიერიდან ბათუმი სამხედრო სიმაგრედ გადაიქცევა არსებითად კომერციული პორტიდანო. და ბოლოს დასძენს რომ რუსეთის განცხადება განსვენებული იმპრატორის მხოლოდ სპონტა-

ნური განცხადება იყო, რაც არაა არგუმენტიო.

იტალიიდან, ავსტრია-უნგრეთიდან და გერმანიიდან ელჩები ატყობინებდნენ როუზბერის: ფაქტიურად ყველა ქვეყანა შეგუებულია იმას, რომ რუსეთს ამ მუხლის გაუქმებაში წინააღმდეგობას ვერ გაუწევნო (აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. აღწერა, ტ 1; საქმე 2).

სერ ლუმლეი როუზბერს რომიდან წერდა, რომ რუსეთის საელჩომ განუმარტა რომის მთავრობას ამ საკითხზე ვითარება და რომში ჯერ კიდევ სწავლობენ ამ საკითხსო. შემდეგ კი აცნობებს როუზბერის, რომ იტალიისთვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა ბათუმის პორტი იქნება თავისუფალი თუ არსებითად კომერციული.

სერ თორნტონი, ბრიტანეთის ელჩი თურქეთში იტყობინებოდა რომ სეიდ ფაშა განიხილავდა ამას როგორც საფრთხეს თურქეთისთვის და ფიქრობდა, რომ რუსეთი ამ მუხლის გაუქმებას გამოიყენებდა ბათუმში სამხედრო არსენალის გასაზრდელად.

ვისკონტ ლიონსი, ბრიტანეთის ელჩი საფრანგეთში, წერდა როუზბერის, რომ რუსეთის ელჩს საფრანგეთში - კოცებუს, უკვე მიუცია ახსნა განმარტება საფრანგეთის მთავრობისათვის და რომ საფრანგეთში ჯერ სწავლობდნენ ამ საკითხს.

დე სტაალი, რუსეთის ელჩი ბრიტანეთში, განმარტავდა, რომ მორიერმა გაარკვია ბერლინისა და ავსტრია - უნგრეთის პოზიცია და აცნობა როუზბერის, რომ მათი თქმით ბათუმის პორტის ამბავი მხოლოდ ბრიტანეთისთვისაა მნიშვნელოვანი და განიხილავს როგორც მათთვის არამნიშვნელოვანსო. საბოლოოდ ბერლინის შეთანხმების მონაწილეები ეგუებოდნენ, რომ რუსეთი აუქმებდა თავისუფალ პორტს, მაგრამ ბათუმი დარჩებოდა არსებითად კომერციულ პორტად. სწორედ ამიტომ ეტყობა როუზბერის ტონს ცოტა არ იყოს არადიპლომატიურობა, როცა მორიერს წერს:

“თუ გესმით, რომ ბათუმის ეს პროცესები არის პრელუდია მომავალში ნებისმიერი ქმედებებისა სხვა ადგილას? კითხე გირსს ფრთხილად, ავღანეთის საზღვრებისაკენ პროგრესზე. ის ჩანს უფრო მკაცრად ესაუბრა შენს იტალიელ კოლეგას ვიდრე შენ.” (აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. აღწერა, ტ 1; საქმე 2).

დე გირსი ამტკიცებდა, რომ არცერთი უცხოელის ინტერესი არ შეილახებოდა და ამ ქმედებით მხოლოდ რუსეთის ინ-

ტერესი გახდება უსაფრთხო და დაცული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ამ დიპლომატიურ ომში ბრიტანეთი მარტოდმარტო აღმოჩნდა და რუსეთმა მოახერხა იმდროინდელი საერთაშორისო ინტერესებს ისე მორგებოდა, რომ ბათუმში პორტო-ფრანკოს გაუქმების საკითხში ბრიტანეთი ძველი მოკავშირეების გარეშე დაეტოვებინა. ბერლინის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე სხვას არც ერთ სახელმწიფოს არ გამოუთქვამს არსებითი პროტესტი თავისუფალი ნავსადგურის რეჟიმის გაუქმების გამო. ბრიტანეთის დიპლომატიის მცდელობის მიუხედავად რუსეთს უკვე დიდი ხანია გადაეწყვიტა ბედი პორტო-ფრანკოსი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-83. აღწერა, ტ 1; საქმე 2.
2. ილია ჭავჭავაძე, პუბლიცისტური წერილები. ტ IV, თბილისი, 2012
3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა. ტ III. ბათუმი 2008
4. რევაზ უზუნაძე, რამაზ სურმანძე, ნუგზარ ზოსიძე. ბათუმი. თბილისი 2013
5. ვლადიმირ სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ ვ. თბილისი, 1970
7. დავით კლდიაშვილი. ჩემი რჩეული. ტ II, თბილისი. 2013

Fridon Kardava

Porto Franco cancelation issue in Batumi

(according to the materials protected in Archives Administration)

Summary

Declaration issue of Batumi to Porto Franco put forward on Congress of Berlin. Based on rich scientific-literature data and archival sources in article are discussed Porto Franco regime and cancelation of this regime by Russian Empire.

**ქართველი ბოლშევიკები და საქართველოს
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „ჩვენი სულიერების ბალვარი“ - მკვლევართა შორის გაიმართა კამათი საკითხზე: იყო თუ არა ი. ბ. სტალინი დამოუკიდებელი საქართველოს „მოტრფიალე“. აღნიშნულმა კამათმა გადამაწყვეტინა აღნიშნული პუბლიკაციის მომზადება. რუსული სოციალიზმის იდეების მიმდევარი სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა საქართველოს რუსეთისგან დამოუკიდებლად არსებობას. ევროპული სოციალიზმის თეორეტიკოს ნოე ჟორდანიას სჯეროდა დემოკრატიული რუსეთის, მაგრამ საუბედუროდ რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კერენსკის იდეალიზირებულ რუსეთს დაბალი სოციალური წარმოშობის „მეფე - დიქტატორი“ ულიანოვების, ჯუღაშვილების, ხრუჩოვების გვარის რუსეთი ჩაენაცვლა.

როსტომ ჩხეიძე თავის დრამატული დროის იგავში „რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა ვით სიზმარი ღამისა“ აღნიშნავს, რომ რუსეთის მიერ საქართველოსა და ქართველებისთვის ჩამორთმეული მოძრავი და უძრავი ქონების გადაცემის პროცესი რევაზ გაბაშვილისთვის გახლდათ თვალსაჩინო დადასტურება მენშევიკთა ბოლშევიკური სიხარბისა.

ნოე ჟორდანიამ წინასწარ განსჭვრიტა ბოლშევიზმის კრახი და მას მიუძღვნა ნაშრომები: „ბოლშევიზმი“ (პარიზი, 1922) „ჩვენ და ისინი“ (პარიზი, 1924). ნოე ჟორდანიას მტკიცედ სწამდა, რომ ბოლშევიზმი ამქვეყნად დატოვებდა მხოლოდ საფლავის ქვას, რომელზედაც შთამომავლობა ასეთ წარწერას გააკეთებდა: „აქ განისვენებს რუსული ნიჰილიზმი“ (გურული ვ., 2003:125)

ნაშრომში „ჩვენ და ისინი“ საუბარია ბოლშევიზმის სისხლიან ისტორიაზე და გაკეთებულია დასკვნა, რომ ბანდიტიზმი ბოლშევიკების თანდაყოლილი სენია, მისი განუყრელი თვისებაა. ნოე ჟორდანია ბოლშევიკებს ასე ახასიათებს: „როცა ბარ-

ბაროსი გერმანელები რომის იმპერიას შეესიეს, დაიწყეს პირველყოვლისა ქალაქების დანგრევა. ტყის ხალხს ტყე ურჩევნია, როცა რუსი ბარბაროსი ბოლშევიკები რუსეთს შეესიეს, დაიწყეს მრენველობის დანგრევა, ხმლიანი რეჟიმის დამკვიდრება, ველურს ველურობა ურჩევნია” (გურული ვ., თბ.2003:128)

1919 წლის მაისში ნოე ჟორდანიამ ინგლისელ გენერალ უორკერთან საუბარში განაცხადა, რომ ერთადერთი მუქარა ჩვენი კეთილდღეობისა იყვნენ ბოლშევიკები, მაგრამ ჩვენ ისინი გადავრეკეთ სოჭის იქით და ჩვენი სახელმწიფო გადაურჩა ამ საფრთხეს. მაგრამ საუბედუროდ ისტორიულ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. ჩვენ სოჭიც დავკარგეთ და დამოუკიდებლობაც. ჯერ კიდევ 1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელი ეროვნული საბჭოსადმი გამოგზავნილ საიდუმლო წერილში წერდა: „ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ბოლშევიზმი სამშობლოს ღალატია” (აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული: თბ. 1998: 49-50).

1920 წლის 8 ივლისს ინგლისელთა გასვლის შემდეგ ბათუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი შემოვიდა. გაზეთ „ერთობაში” დაიბეჭდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ კვინიტაძის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. მიმართვა ბოლშევიკების მიერ აღიქვა, როგორც მუქარა. სინამდვილეში მიმართვა აფრთხილებდა იმ არაკეთილისმოსურნე ძალას, ვინც ქართულ ჯარს აჭარაში მტრულად დახვდებოდა. აი ეს მიმართვაც: „ ვინც იარაღით ხელში წინააღმდეგობას გაუწევს ჯარს... ის მაშინვე დახვრეტილი იქნება” (გაზ. „ერთობა” №147, 1920) დამოუკიდებელი საქართველოს მტრად გამოცხადდნენ ქართველი კომუნისტები, რომლებიც რუსულ ჯარს შემოუძღვნენ საქართველოში და მოითხოვდნენ მათ მიერ დაგეგმილ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების ლეგალიზაციას. ქართველი ბოლშევიკების მიზანი იყო რევოლუციის გზით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობა.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ბოლშევიკური პრესა. გაზეთი „ბატუმსკაია ჟიზნი” ეროვნული გვარდიის ქმედებას ასე აფასებდა: „მომავალი თაობა ზოგიერთი გვარდიელის საქციელს საზღაპროდ გახდის და შესაძლოა აკვანში ატი-

რებული ბავშვი დედამ შეაშინოს სიტყვებით: გაჩუმდი, მოვიდა გვარდიელიო” (გაზ. „ბატუმსკაია ჟიზნ“ №14, 1921).

საქართველოს დე ფაქტოდ და დე-იურედ აღიარების ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ ევროპელი პოლიტიკოსების აზრს, რადგან ამით დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ასაბუთებდა თავის პროდასავლურ ორიენტაციას და ეს იმ რთულ პერიოდში, როცა უკვე გავრცელებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბენბრიჯ ქოლბის ოფიციალური ნოტა, რომელშიც უარყოფილი იყო საქართველოს ეროვნული, სუვერენული უფლებები. ამერიკამ სცნო რუსეთის იმპერიული საზღვრები (ვ. გურული. თბ. 2003: 75-76).

დასავლეთ ევროპელი პოლიტიკოსების საქართველოში სტუმრობა ბოლშევიკებმა შეაფასეს, როგორც სოციალიზმისადმი ლალატი და სრული დაღუპვის გადარჩენის მიზნით არსებული ხელისუფლებისადმი ხელის შეწყობა. ევროპელი სოციალისტების სტუმრობასთან დაკავშირებით ბათუმის კომიტეტმა დაბეჭდა და ფართოდ გაავრცელა პროკლამაცია, სადაც აღნიშნულია: „დაე, ყვითელი მასპინძლები შეხვდნენ თავიანთ ყვითელ სტუმრებს. ჩვენ ბოლშევიკებს აქ საქმე არ გვაქვს. მთელი ჩვენი სიმპატია იქ არის, სადაც თავს იყრიან და ერთიანდებიან საერთაშორისო პროლეტარული არმიის რაზმები, რომლებიც მიდიან კაპიტალისტთა სიმაგრეების დასანგრევად (პ. ცქვიტა-რია. ბათ. 1962: 171-172)

ბოლშევიკები საქართველოს მთავრობას ადანაშაულებდნენ რსფსრს-თან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევაში, კერძოდ ის რომ საქართველოს მთავრობა არ აჩქარებდა ინგლისელი ოკუპანტების წასვლას ბათუმის ოლქიდან. ბოლშევიკებს კი ძალიან სურდათ ინგლისელი ოკუპანტების სასწრაფოდ გაყვანა და რუსი ოკუპანტების უსწრაფესად შემოყვანა

სინამდვილეში ინგლისის ჯარი თავისი ნებით რომ არ გასულიყო ბათუმის ოლქიდან, ვინ იცის საქართველოს მომავალი ისტორია რა გზით წარიმართებოდა.

ახასიათებს რა საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიმართ პროფესო-

რი პარმენ ცქვიტარია აღნიშნავს: „რუსეთის საბჭოთა მთავრობა მზად იყო საქართველოს მთავრობასთან ერთად დაეცვა ბათუმი, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ არ მიიღო შემოთავაზებული დახმარება და განაცხადა: „ბათუმი ჩვენია და არავის უფლება არ აქვს არც მისი დაპყრობის და არც დაცვისო” (პ. ცქვიტარია, 1962:176)

და მართლაც ქართულმა ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით 1921 წლის მარტში დაიკვა ბათუმი. ბათუმის საგანგებო რწმუნებული გიორგაძე მიმართავდა აჭარის მოსახლეობას: „ქართველო მუსლიმანებო! თქვენც უნდა შეიტანოთ წვლილი სამშობლოს დაცვის საქმეში... ხელი მოკიდეთ იარაღს. მახვილი მტრის გულში (პ. ცქვიტარია, 1962:179)

ქართველებს ერთი კარგი თვისება გააჩნია, ერისთვის ყველაზე მძიმე წუთებში ერი და ბერი ერთიანდება იმ რთულ პერიოდში ერთმანეთის „გვერდიგვერდ იღვწოდნენ სხვადასხვა თაობის პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის ადამიანები: ნოე ჟორდანია და პეტრე სურგულაძე, ნიკო ნიკოლაძე და აკაკი ჩხენკელი, ზურაბ ავალიშვილი და სამარყანდის ოლქის ყოფილი სამხედრო გუბერნატორი, გენერალი ილია ოდიშელიძე. მათთან ტრიალებდა მუდამ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის მოტრფიალე ჰაიდარ და მემედ აბაშიძეები (მ.სიორიძე, 2011:73) ჰაიდარ აბაშიძის თანამებრძოლი მემედ აბაშიძე აღნიშნავდა: კაცი თუ მოყვარულია თავის მშობლიური დედა ქვეყნისა და თანამემამულეთა, ის სხვასაც შეიყვარებს, და თუ მას არც თავისი ერი, არც სამშობლო, დედა ქვეყანა, არც ლიტერატურა, არც ისტორია და თავისი ეროვნული მეტყველება არ სწამს და არ უყვარს, მისგან ნურავინ სიკეთეს და სიყვარულს ნუ მოეღოსო (გაზ. „კახაბერი“, 1991 წლის 28 ნოემბერი).

სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის თაოსნობით ბათუმის საზოგადოებამ პირველად 1919 წლის 26 მაისს აღნიშნა დამოუკიდებლობის დღე (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008:493) საზეიმო შეხვედრაზე მემედ აბაშიძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას: „ჩვენ თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ეროვნებით ქართველები. ქართული სისხლი გვიღულს, სულით და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში

ვერასდროს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენ ძმებს ქრისტიან ქართველებს გადაგვიდოს და მტრობა გააჩალოს. ჩვენ უნდა გარდავიქმნეთ ერთ სულათ და სხეულად, რათა აღვიდგინოთ ეროვნული მთლიანობა (გაზ. „კახაბერი“, 1991 წ. № 28. ნომბერი)

ქართველმა ბოლშევიკებმა 1922 წლის 23 მაისს გამოსცეს ბრძანება №5, რომელიც იუწყებოდა, რომ საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე არის 25 თებერვალი და არა 26 მაისი. ამიერიდან გაუქმებულია 26 მაისის დამოუკიდებლობის დღე და მის ნაცვლად ძალაში შედის 25 თებერვლის დღე, როდესაც განთავისუფლდა საქართველო. ბრძანებას ხელს აწერენ საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე და მდივანი თ. კალანდაძე. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1922 წელს საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში მაინც აღინიშნა 26 მაისი, თუმცა ამას დიდი რეპრესიებიც მოჰყვა (ჟურნალი „საარქივო მოამბე“ 2010: 4-22).

ამრიგად, ზემოთ მოტანილი ისტორიული მასალა ნათლად წარმოაჩენს ბოლშევიკების დამოკიდებულებას საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული, „საქართველო და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918) თბ. 1998
2. მალხაზ სიორიძე, „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან“, ბათ. 2011
3. პარმენ ცქვიტარია: „აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები“, ბათ. 1962
4. ვახტანგ გურული „საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბ. 2003
5. ვახტანგ გურული, ნოე ჟორდანია, „პოლიტიკური პორტრეტი“ 1869-1953, თბ. 2003
6. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები „აჭარა“ ტ III, ბათ. 2008.

7. სერგი ვარდოსანიძე, „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1927. თბ. 2000
8. ხ. ახვლედიანი, „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921), ბათ. 1971
9. გაზეთი „ერთობა“, №147, 1920
10. გაზეთი „ბატუმსკაია ჟიზნ“, №14, 1921
11. გაზეთი „კახაბერი“, №119, 1991
12. ჟურნალი „საარქივო მოამბე“, №9. 2010.

Merab Megrelishvili

The Bolsheviks and the independence of the Georgia

Summary

The article is based on archival materials and printed data set produced by the Bolsheviks in 1921. The anti-national activities which led to the abolition of the state independence. It is shown that in the current social - political movements of individual processes. The objective is also estimated Social - Democrats in order to maintain the independence of the Georgian state.

ალექსანდრე III ბათუმში

ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ბათუმის პირვანდელი ფორმა „ბათუსი“ ძვ.წ. ა. IV საუკუნეში უკვე მოიხსენიებოდა. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ბერძნული სიტყვიდან, რაც „ღრმას“ ნიშნავს. ბათუმი ყოველთვის გამოირჩეოდა ხელსაყრელი ბუნებრივი და სტრატეგიული მდებარეობით, რაც აპირობებდა ამ მხარისადმი უცხო სახელმწიფოთა ინტერესებს.

1888 წელს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე (1881-1894 წწ) მეორედ ესტუმრა კავკასიას. ამ მოგზაურობაში მასთან ერთად იყვნენ: მისი მეუღლე, იმპერატრიცა მარია თეოდორის ასული; ვაჟიშვილები: ტახტის მემკვიდრე უფლისწული ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (მომავალი იმპერატორი ნიკოლოზ მეორე) და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე.

მეფის ამალაში იყვნენ:

საიმპერატორო კარის მინისტრი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი;

სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი ვანნოვსკი;

გენერალ ადიუტანტი რიხტერი;

გზათა მიმოსვლის მინისტრი, გენერალ ადიუტანტი - პოსეტი;

გენერალ ადიუტანტები: ჩერევენი და დანილოვიჩი;

გოფმარშალი თავადი ობოლონსკი;

ფლიგელ-ადიუტანტები: შერემეტიევი და ოლსუფიევი;

პოლკოვნიკი შირინკინი;

ლეიბ - ქირურგი გირში;

ფრეილინები - გრაფინიები ვოდენიშჩევა-კუტუზოვები

მხატვარი მ.ზიჩი და სხვები.

კავკასიაში მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: დონის როსტოვი- მინვოდი (ქალაქი სტავროპოლის მხარეში), პროხლადნია (გეორგიევსკთან მინერალური წყლები) -ვლადიკავკაზი (ჩრდილო ოსეთი) - ეკატერინოდარი (არმავირი) -ნოვოროოსიისკი, ახალი ათონი, ბათუმი, მიხაილოვო (ხაშური), ბორჯომი,

თბილისი, სიღნაღი, ბოდბე (ნმ.ნინოს ტაძარი), წინანდალი, თელავი, თიანეთი, საბადურის უღელტეხილი (ახალციხის, ბორჯომის, აპინძის მუნიციპალიტეტი), ავჭალა-აჯიქაბული (სადგური), ელისავეტოპოლის სადგური (განჯა), ყარაიაზი (გარდაბანი), ქუთაისი, ბათუმი.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში (ქუთაისის ქალაქის მმართველობა, ფონდი 108, საქმე 685, ფურცელი 108-110) დაცულია კავკასიის მთავარმართებლის (სამოქალაქო ნაწილში) გენერალ-ადიუტანტ დონდუკოვ-კორსაკოვის ბრძანების ასლი იმპერატორის კავკასიაში მოგზაურობასთან დაკავშირებით (ბრძანების ქსეროასლი თან ერთვის მოხსენებას), რასაც თან ახლავს დამატებითი მითითებანი ქუთაისის გუბერნიისათვის.

მეორე პარაგრაფის მესამე პუნქტში (ფურ.83) ნათქვამია, რომ ბათუმის ნაოსნობისა და სავაჭრო საზოგადოების ნავმისადგომზე, გარდა სამხედრო გუბერნატორისა, კომენდანტისა და პოლიცმეისტერისა დახვედრაზე უნდა იყვნენ: ა) ქალაქის საკრებულო (დუმა) მთელი შემადგენლობით და საპატიო მოქალაქეები იმპერატორის შესახვედრად შემდგარი კომიტეტის მიერ შემუშავებული სიის მიხედვით. ქალაქის თავმა, დუმის მიერ არჩეულ ორ ასისტენტთან ერთად, უნდა მიართვას იმპერატორს პურ-მარილი და ყვავილები. ბ) საკარანტინო-საბაჟო ოლქის უფროსი, ადმირალი გრევე, ბანკის მმართველი, პორტის მშენებელი, ბათუმის საბაჟოს მმართველი, მომრიგებელი მოსამართლე, გზათა მიმოსვლის განყოფილების უფროსი, სააქციზო უწყების უფროსი ჩინოვნიკი, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი, სახაზინოს უფროსი ...(კაზნაჩი...), გ) კონსულები დ) დეპუტაციები ბათუმისა და ართვინის ოლქებიდან, ოლქის უფროსების მეთაურობით, ე) ქალბატონებმა, კომიტეტის მიერ შედგენილი სიის მიხედვით, სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის, გენერალ-მაიორ თავად ერისთავის მეუღლის თაოსნობით ყვავილები უნდა მიართვან იმპერატორს.

ნავმისადგომიდან საბაჟოს ეზომდე, საპატიო ყარაულის განლაგების ადგილამდე - ბათუმის საქალაქო სასწავლებლის, ბერძნული სკოლის და ბათუმის ქალთა სკოლის აღსაზრდელები აღმზრდელებთან (მომსახურე პერსონალთან ერთად) მოედანზე, მომავალი ტაძრის საძირკვლის სიახლოვეს უნდა განლაგნენ.

მეთორმეტე პარაგრაფის დამატების მიხედვით ქუთაისისა და ბათუმის პოლიცმეიტერებს წინადადება მიეცათ მოიწვიონ მონადირეები ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რომლებიც შეასრულებენ პოლიციელთა მოვალეობებს, შედგეს მათი სიები, მიეცეთ განმასხვავებელი ნიშნები და გააცნონ ისინი თავიანთ ვალდებულებებს.

ბათუმსა და ქუთაისში საიმპერატორო მატარებლის ჩამოსვლისა და გამგზავრებისას დანიშნული იყო საგანგებო პრისტავი ან პოლიციის ოფიცერი ბარგზე ზედამხედველობისათვის. გადმოტვირთვისა და გადაზიდვისთვის კი გარნიზონიდან გამოყოფილი იყო 25 ადამიანი და 5 ფურგონი.



ბათუმში იმპერატორის გემი 25 სექტემბერს, დილის 10 საათზე ჩავიდა. გამოჩნდა თუ არა გემ „მოსკვაზე“ იმპერატორის შტანდარტი, ყველა გემიდან, ყურედან და სახმელეთო ბატარეიდან გაისმა საიმპერატორო სალუტი. ბათუმის ქუჩები დილიდანვე ხალხით იყო სავსე, ისინი მრავალფეროვან აღმოსავლურ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. ყურეში მდგომი ყველა გემი და ქალაქის შენობები დროშებით იყო მორთული. ნავსადგურში მის უდიდებულესობას შეხვდნენ: ოლქის ხელმძღვანელობა, მიხაილოვსკის ციხესიმაგრის კომენდანტი,

უმაღლესი სამოქალაქო ჩინები და ქალაქის თავი ხმოსნებთან, ქალაქის საპატიო მოქალაქეებთან და ბათუმისა და ართვინის ოლქების დეპუტატებისათვის ერთად.

ქალაქის თავმა მის უდიდებულესობას ვერცხლის სინით ტრადიციული პურ-მარილი მიართვა. ლანგრის ძირზე ბათუმის ხედი იყო გამოსახული, გვერდები აჭურული, ასეთივე დაფნის ფოთლებით იყო მორთული. გვერდებზე - ორი მედალიონი ახლად მშენებარე ტაძრისა და ბაზრის ხედებით. ნავმისადგომზე, კარავში, რომელიც აღმოსავლური ხალიჩებითა და ქსოვილებით იყო მოფენილი, შეკრებილიყო ქალაქის მთავრობა და სხვა სახელმწიფოთა კონსულები სააღლუმო კოსტიუმებში, კარვის მარჯვენა მხარეს ქალბატონები იდგნენ, მარცხნივ - ბათუმისა და ართვინის ოლქების დეპუტატები, აღმოსავლური ტანისამოსითა და ჩაღმებით. მათაც მიართვეს იმპერატორს საუცხოო ვერცხლის აჭურული სინით პურ-მარილი.



გაზეთი „ივერია“ წერდა - „ დღეს მეოთხე დღეა, რაც მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და მისი იმპერატორობითი უმაღლესობა ტახტის მემკვიდ-

რე ჩვენს ქვეყანაში ბრძანდებიან“, 25 სექტემბერს, მეათე საათზედ ციხეებიდან ზარბაზნების გრიალმა ბათომელებს აცნობა, რომ იგი ბედნიერება, რომელსაც ელირსა ახალი ათონი, ბათომსაც მოუშუქა. მშვენიერად და მრავალფერად მორთული იყო ნავთსადგური ბათომისი, საცა მათი უდიდებულესობანი უნდა გადმობრძანებულიყვნენ ზღვიდან ხმელეთზედ“

იმპერატორი გემიდან ჩამოვიდა, მას ყველა მხრიდან „ურას“ შეძახილებით შეხვდნენ, იგი მიესალმა დეპუტაციას. იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულს ყვავილების თაიგული მიართვა ოლქის უფროსის მეუღლემ, თავადის ქალმა ერისთავმა და თვით ოლქის უფროსმა. ნავსადგურიდან ალექსანდრე მესამე გაემართა ეკლესიისკენ, სადაც პლასტუნკის ბატალიონის საპატიო ყარაული იდგა მუსიკოსებთან ერთად. წმ. არქისტრატე მიქაელის ქალაქის ეკლესიასთან იმპერატორს შეხვდა გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი, ორ არქიმანდრიტსა და სამღვდელოებასთან ერთად და სიტყვით მიმართა და დალოცა იგი.

ჯვრით კურთხევისა და აიაზმის პკურების შემდეგ შესრულდა ღვთისმსახურება და საღმრთო ლიტურგია. ეკლესიის ეზოში და შესასვლელში პოპერტი იდგა ოქრომკერდით მოქარგულ ტანსაცმელში გამოწყობილი ალბანელებისაგან შემდგარი ყარაული. მოისმინეს წირვა, რადგან კვირა დღე იყო.

ღვთისმსახურების შემდეგ იმპერატორი ხალხით სავსე ქუჩების გავლით მოედნისაკენ გაემართა, სადაც ახალი ტაძრის საძირკვლის ჩაყრა ხდებოდა. ალღუმში მონაწილეობდნენ: ბათუმის ადგილობრივი ბატალიონის ნაწილი, მიხაილოვის სიმაგრის არტილერიის ორი ბატალიონი, პლასტუნსკის პირველი ქვეითი ბატალიონის ასეული, 149-ე შავი ზღვის პოლკის სამი ნაწილი და სასაზღვრო დაცვის ქვეითი და ცხენოსანი შენაერთი.

საძირკვლის ჩაყრას ესწრებოდნენ საქალაქო სასწავლებლების აღსაზრდელები, კონსულები, ქალაქის მმართველობის და ადმინისტრაციის წამომადგენლები. საძირკვლის გარშემო დროშები და ბაირალები იყო აღმართული. ხელმწიფე იმპერატორმა საძირკვლის პირველი ქვა დადო, შემდეგ ქვები დადეს იმპერატრიცამ და სამეფო ოჯახის წევრებმა. შემორჩენილია ბრინჯაოს ნიჩაბიც, რომელზედაც ამოტვიფრულია გრავიურა

„ქალაქი ბათუმი, 1888 წლის 25 სექტემბერი“ - ტაძრის საძირკვლის ჩაყრის ზუსტი თარიღი. ამ ნიშაბით პირველი ცემენტი ჩაისხასაძირკველში. იმპერატორის სახელითა და გვარით ამოტვიფრული ნიშაბი კერძო კოლექციას წარმოადგენს და მოსკოვში მცხოვრები ბათუმელი ექიმისა და კოლექციონერის მიხეილ ალშიბაიას ოჯახში ინახება.



ეპისკოპოსმა გრიგოლმა სიტყვით მიმართა იმპერატორ ალექსანდრე მესამეს და აღნიშნა: „... გაივლის წლები და ამ ტაძრის შემდეგ უფლის ჯვარი გაბრწყინდება ქრისტიანული ხელოვნების გასაოცარ ნიმუშთა ნანგრევებზე, რომლებიც უხვადაა ამ მხარეში, და გაბრწყინდება არა მახვილის ძალით, არამედ ნათლის, რწმენის და საღმრთო მადლის ძალით.“

ეპისკოპოსმა აკურთხა მომავალი ტაძრის ადგილი, ჯარი და დროშები. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ საეკლესიო მსვლელობა ეკლესიაში დაბრუნდა, ხოლო ჯარებმა იმპერატორის წინ ცერემონიალური მარშით გაიარეს და მეფის მადლობა დაიმსახურეს.



აღლუმს ხელმღვანელობდა პოლკოვნიკი შევიჩი. იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნა აღლუმს საგანგებოდ მოწყობილი და დროშებით მორთული კარვიდან ადევნებდა თვალს. ქალაქში დიდი ფაციფუცი იყო, მაღალჩინოსნობა ცდილობდა იმპერატორს საკადრისად დახვედროდა. საინტერესო მოგონება აქვს დავით კლდიაშვილს: „შავულვაშიანთა პარადი“-ს შესახებ. ის წლების მანძილზე მსახურობდა ბათუმის სამხრეთ ნაწილში. ბათუმში საქალაქო ცხოვრების თვითმხილველი იყო და თავადაც აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დავით კლდიაშვილი განსაკუთრებული სიყვარულით, პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა სამხედრო მოსამსახურებს შორის. იმპერატორთან შეხვედრის ცერემონიალის მომზადებაში აქტიური მონაწილეობას ქართველი საზოგადოების თხოვნით დავით კლდიაშვილიც იღებდა. ის თავის ნაწარმოებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ - იგონებს: „ჩემი ნაწილიდან ერთი გუნდი იღებდა მონაწილეობას ამ ზეიმში, რათა განსხვავებული იერი მიეცა ჯარისკაცებისათვის, შევიჩმა გუნდებისათვის შეაკერვინა განსხვავებული ქუდეები და გასაოცარი განიერი შარვლები. გამოწერა პეტერბურგიდან ულვაშები, ეს ულვაშები სპეციალური მექანიზმით მაგრდებოდა ცხვირში, საჭირო იყო შეჩვენა მათ სატარებლად, რადგან ეს უცხოური მექანიზმი ჯარისკაცებს ცხვირში უღივინებდა და სანამ არ შეეჩ-

ვეოდა კაცი დიდხანს ვერ იგუებდა მას. ამიტომ ვიზიტამდე ამ უღვაშებს უკეთებდნენ ჯარისკაცებს და აჩვენებდნენ ტარებას და ისინიც მოთმინებით იტანდნენ ამ განსაცდელს. იმპერატორის ვიზიტი შედგა და „შავულვაშიანთა პარადმაც“, მოწონება დაიმსახურა, იმპერატორმა ღიმილით თქვა: „რა ყოჩაღებს მოუყრიათ თავი ამ ნაწილში!“ კარგია რომ ხელი არ შეუხია რომელიმე ჯარისკაცისათვის, თორემ მთელი ეს ბუტაფორია თავზე დაატყდებოდა მის მომწყობს...

ბათუმში იმპერატორმა გემ „მოსკვაზე“ ისაუზმა, საუზმეს ესწრებოდა ეპისკოპოსი გრიგოლი და წარჩინებული სამღვდელონი. შემდეგ კი ქალაქის ბაღს ესტუმრა, სადაც ამ მხარის ყველაზე შესანიშნავი მცენარეები ხარობდა. იმპერატორი ძალიან მოიხიბლა ბაღის სილამაზით. სამეფო ოჯახის წევრებიდან იმპერატორს ბაღში ვირჯინიული დიდყვავილა მაგნოლია დაურგავს, იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას კი კედარი. უფლისწულმა ნიკოლოზ მეორემ კი - ჩინური კინენგამია. მისი დარგული ხეები დღესაც ადვილად შეგიძლიათ გამოარჩიოთ სიმაღლითა და სიდიდით. ბაღს იმპერატორის პატივსაცემად „ალექსანდრეს ბაღი“ ეწოდა, თუმცა მისი სახელწოდება შემდგომში რამდენჯერმე შეიცვალა. 1932 წელს ბაღი კულტურისა და დასვენების პარკად გადაკეთდა. 1933 წელს საბავშვო პარკად, მოგვიანებით პიონერთა პარკად, დღეს მას „6 მაისის პარკი“ ჰქვია.

დავით კლდიაშვილი იგონეს: „ახირებულმა პოლკოვნიკმა შევიჩმა დაიჟინა, რომ როცა მეფე ალექსანდროვის ბაღიდან გამოვიდოდა და იქვე მყოფ ჩვენს საზაფხულო ბანაკში შემოადგამდა ფეხს, უნდა შეხვედროდა სათამაშო ზარბაზნების სროლით. ეს უკვე მასხრობას დაემსგავსებოდა და ერთი უბედურება მოხდებოდა, ურჩიეს შევიჩს ეს არ დაეშვა, მაგრამ იგი თავისაზე იდგა. უბედურების თავიდან ასაცილებლად აცნობეს ვისაც საჭირო იყო, რომ იმპერატორი ჩვენი ბანაკისაკენ არ გაეტარებინათ, თორემ სკანდალი მოხდებოდა და სხვა გზით გაიყვანეს ბაღიდან. შევიჩი დარჩა გულდანყვეტილი, რომ არ ელირსა მისებური ზემოთ მიეღო იმპერატორი“.

შემდეგ იმპერატორი ბურუნ-ტაბიეს ციხე-სიმაგრეში გაემართა, სადაც ბატარეის შეიარაღება დაათვალიერა, სიმაგრე, სამხედრო ჰოსპიტალი და დაათვალიერა რა ბათუმი, თავისი

კმაყოფილება გამოუცხადა ქალაქის ხელმძღვანელობას.

ქალაქის მთავარი ქუჩა თავდაპირველად ახლანდელი მე-მედ აბაშიძის ქუჩა იყო. X X საუკუნის დასაწყისში ბათუმის ამ ქუჩას „მარიას გამზირს“ უწოდებდნენ, ქუჩის ეს სახელწოდება იმპერატორ ალექსანდრე მესამის ვიზიტს უკავშირდება. სწორედ იმპერატორის მეუღლის პატივსაცემად უწოდა ქალაქის მმართველობამ ბათუმის ცენტრალურ ქუჩას მარიას გამზირი.

მისი უდიდებულესობა ალექსანდრე მესამეს ვიზიტის დროს ერთ-ერთ ბათუმელ ფოტოგრაფს, გვარად კუშნერსკის ერგო პატივი თან ხლებოდა იმპერატორს და ამ ვიზიტის ამსახველი ფოტოები გადაეღო. კუშნერსკის ჰქონდა ატელიე კინო „აპოლო“-ს გვერდით, როგორც ცნობილია კუშნერსკის ეს ნეგატივები ჩამოართვეს და რაღაც სასწაულით გადარჩენილი რამდენიმე ფოტოა, რომელზედაც აღბეჭდილია რუსეთის იმპერატორის ჩამოსვლა ბათუმის პორტში.

სალამოს ბათუმი ილუმინაციებით იყო განათებული, სამხედრო გემებზე ფელშფეიერები დაენთოთ,

იმპერატორ ალექსანდრეს სტუმრობა ბათუმმა ქალაქის კლუბში ბრწყინვალე მეჯლისით და მთელი ქალაქის ილუმინაციით აღნიშნა. შებინდებისას, 6 საათზე, ბათუმთან ახლომდებარე მთებზე და გორაკებზე კოცონები დაინთო.

გემ „მოსკვაზე“ ჩაის მირთმევის შემდეგ ალექსანდრე მესამე მატარებლით მიხაილოვოში (ხაშური) გაემგზავრა. გზად საჯარისო შენაერთები იდგნენ შეიარაღების გარეშე, უკრავდა მუსიკა, ისმოდა ხალხის აღტაცებული შეძახილები. სიმაგრიდან სალუტი გაისმა.

გაზეთ „ივერია“-ში ვკითხულობთ: „მეექვსე საათზედ რკინის გზით ხელმწიფე წამობრძანდა ბათომიდან და როცა ციხისძირს მიუახლოვდა, ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა და მატარებელი გაჩერდა. გადმობრძანდნენ საიმპერატორო ვაგონიდან და კეთილი ინებეს ზღვის პირას რამდენიმე ხანს დაყოვნება. ის ზღვა, ის მთები, ის ღელე და ხეები, ის ციაგი და მშვენიერი სალამო მართლა რომ მიმზვიდველი და დამატკბობელია. ძნელია რომ კაცმა უკეთესი რამ ნახოს“. ასეთი იყო იმპერატორის მოგზაურობა ბათუმში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „კავკაზსკი კალენდარი“
2. „ლიტერატურული პალიტრა“ - დავით კლდიაშვილი „ჩემი ცხოვრების გზაზე“, 2012 წელი 6);
3. ვლადიმერ სიჭინავა „ბათუმის ისტორიიდან“;
4. გაზეთი „ივერია“;
5. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ფონდი - „ქუთაისის ქალაქის მმართველობა“

Mzia Kekeishvili

Alexander III in Batumi Summary

In 1888 Alexander III – Russia Emperor (1881-1894) second time visited Caucasia. In this journey with him were: his wife – Maria Feodorovna – the Empress; sons: Nikolay Alexandrovich – Crown (future Emperor Nicholas II) and Grand Duke George Alexandrovich. This article presents the events about Emperor visit in Batumi.

**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა (აჭარის)
და უკრაინის ურთიერთობები
(საარქივო სამმართველოში დაცული
მასალების მიხედვით)**

მსოფლიოში იშვიათია ქვეყნები, რომელთა სოციალურ-კულტურული განვითარება, ისტორიული წარსული და აწმყო ისე ჰგავდეს ერთმანეთს, როგორც საქართველოსა და უკრაინის ისტორია. უკრაინის სახალხო მგოსანი ტარას შევჩენკო გაცნო რა საქართველოს ისტორიას თქვა: „რამდენი რამ საერთოა უკრაინელი და ქართველი ხალხების ბედში“. სწორედ ეს საერთოება და ერთნაირი მისწრაფება – იყვნენ თავისუფალნი და ჰქონდეთ ერთიანი ქვეყანა – გახდა ამ ორ თავისუფლებისმოყვარე ერს შორის მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველი. უხილავად გაბმულმა სულიერმა ძაფებმა ერთმანეთს დააახლოვა ქართველი და უკრაინელი ხალხის საამაყო შვილები აკაკი წერეთელი და ტარას შევჩენკო. ბედმა უკრაინაში გადაისროლა და იქ ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა, საქართველოს სიყვარულს ეზიარა და ქართულ მიწას მიეზარა უკრაინელი პოეტი ქალი – ლესია უკრაინკა. ერთი ქვეყნიდან მეორეში მოისროლა მეგობრობის გრძნობამ და ამ ქვეყნების გმირებად აქცია მეორე მსოფლიო ომის ქართველი და უკრაინელი მებრძოლები.

რაც შეეხება ლიტერატურას, უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ქართველი ხევისბერის და უკრაინელი ტარას ბულბას პიროვნული თვისებების, მრწამსის და სამშობლოსადმი ერთგულების მსგავსებას.

საქართველოსა და უკრაინას შორის არსებულმა კეთილმეგობრულმა ურთიერთობებმა ასახვა ჰპოვა ამ ორი ერის კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში, რაც თავის მხრივ მიმოწერებში, ბეჭდურ და წერილობით წყაროებში გამოიხატა და ბოლოს არქივებსა და მუზეუმებში დაიდო ბინა.

ზოგადად საქართველოს, ჩვენს შემთხვევაში კი აჭარა-უკრაინის ურთიერთობის შესახებ საკმაო მასალაა დაცული აჭარის

ცენტრალური არქივის ფონდებში: აჭარის არ მინისტრთა საბჭოს (რ-2), ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომი (რ-10), აჭარის არ განათლების სამინისტრო (რ-5), ბათუმის სავაჭრო პორტი (რ-60), სპორტული და პროფკავშირული ორგანიზაციები, ლიტერატურის და ხელოვნების ფონდები. ამ ურთიერთობის შესწავლის დროს განსაკუთრებულად საინტერესოა მწერლისა და დრამატურგის ამირან შერვაშიძის პირადი ფონდი (რ-59).

ჩემი (მოცემული) მოხსენება მოკრძალებული ცდაა მასალების მიმოხილვისა, თავმოყრისა და გამომზეურებისა და არ გააჩნია პრეტენზია სრულყოფილებისა.

აჭარისტანის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის ფონდში (რ-5) დაცულია 1929 წლის 24 იანვარს უკრაინის სსრ ქალაქ ხარკოვიდან გამოგზავნილი სრულიად უკრაინის აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო ასოციაციის წერილი 1929 წლის 23 აპრილს სრულიად უკრაინის სამეცნიერო ასოციაციის ყრილობაზე აჭარისტანიდან წარმომადგენლის მიწვევის შესახებ. დელეგატს უნდა მოემზადებინა მოხსენება აჭარის კულტურული მიღწევების თაობაზე. ასოციაციის ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ გერმანელი, თურქი და ფრანგი მეცნიერები. აქვე დაცულია აჭარისტანის განსახკომის კოლეგიის სხდომის ოქმი №2 08.03.1929 წ. – ასოციაციის ყრილობაზე დელეგატად ქუთათელაძის წარგზავნის შესახებ. მოხსენების თემა „აჭარისტანის მიღწევები კულტურულ ფრონტზე“ (რ-5; აღწ.1; საქ.152; ფურც.4-8; 16-17). ბათუმის, სევასტოპოლისა და ოდესის პორტებს შორის გამართული სოცშეჯიბრების 1932 წლის ხელშეკრულებები და ამ საკითხებთან დაკავშირებული მიმონერები დაცულია ბათუმის სავაჭრო პორტის ფონდში (რ-60; აღწ.1; საქ.31; ფურც.13-14).

ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა II მსოფლიო ომის დროს. „საქართველო და უკრაინა“ – ასე ჰქვია მწერლისა და დრამატურგის ა. შერვაშიძის ჩანაწერებს, რომლებშიც II მსოფლიო ომში ქართველი და უკრაინელი მეზობეობის არნახულ გმირობაზეა საუბარი. კავკასიის დამცველთა რიგებში იყვნენ ძმები სერჟანტები დიმიტრი და ივანე ოსტაპენკოები, უფროსი ლეიტენანტი ტიტორენკო, კაპიტანი ნაზარენკო დნეპროპეტროვსკის ოლქის სოფ.

ივანოვკადან, ლეიტენანტი პეტრე რუდენკო ხუტორ მატუსოვოდან, მფრინავები ბორის და დიმიტრი გლინკები.

უკრაინის განთავისუფლებისთვის მეზრძოლთა რიგებში იყო უკრაინის პირველი პარტიზანული პოლკის მეთაური, სსრკ გმირი დავით ბაქრაძე. მან ბრძოლით გაიარა 21000 კმ. მტრის ზურგში და არნახული გმრობისა და ვაჟკაცობის მაგალითი უჩვენა თანამებრძოლებს.

უკრაინელმა პარტიზანებმა ექსპრომტად ლექსიც გამოუთქვეს და მასზე შექმნილი სიმღერით იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ:

Раньше строил он заводы

Строил башни, корпуса

А теперь Бакрадзе фрицман

Приподносит чудеса!

საოცარი გმრობით დაამახსოვრეს თავი და უკვდავცვეს არა მარტო თავისი, არამედ საქართველოს სახელი უკრაინის განთავისუფლებისათვის მეზრძოლმა სხვა ქართველებმა: სსრკ გმირებმა გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ლესელიძემ და გენერალ-პოლკოვნიკმა პ. ჩანჩიბაძემ (რ-59; არწ.1; საქ.87, 88).

ომის შემდგომ წლებში დიდი მუშაობა გაჩაღდა სკოლები-სა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების ნორჩ წითელკვალმაძიებელთა წრეების მიერ ომში დაღუპულ და დაკარგულ მეომართა საფლავების მოკვლევისა და საძმო საფლავებში დაკრძალულ მეომართა ნათესავების მისამართების დადგენისათვის. ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ფონდში (რ-404) დაცულია ქობულეთის ნორჩ წითელკვალმაძიებელთა რაზმის „მზიური“-ს მიერ შედგენილი სიები, სადაც ჩამოთვლილია ბრესტის, ხარკოვის ოლქის სოფ. ნადეჟდონოვში, ოდესის ოლქის სოფ. ანანიევში, ლვოვში და ლვოვის ოლქის ქ. ბროდში, დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოლაევის რაიონის, სევასტოპოლში, დონეცკში, ხერსონის ოლქში დაკრძალულ ქართველ მეომართა გვარები (რ-404; არქ.1; საქ.156; ფურც.14-31).

ამავე ფონდში დაცულია პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის 1990 წლის წერილი აჭარის ასსრ სახალხო განათლების მინისტრისადმი, ხარკოვში ავტო-

მოდელისტთა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად სასახლის ავტომოდელისტთა წრის წევრების წარგზავნის შესახებ (რ-404; აღწ.1; საქ.192; ფურც.10).

შეჯიბრებები სპორტის სახეობის გარეშე წარმოუდგენელია. სარენაო კოოპერაციის საბჭოს ლენინის ორდენოსანი საკავშირო ფიზკულტურული საზოგადოება „სპარტაკი“-ს აჭარის საზოგადოების ფონდში დაცულია 1938 წლის ფიზკულტურული საზოგადოება „სპარტაკი“-ს აჭარის საზოგადოების პრეზიდიუმის, სარენაო არტელების („ქალთა გამარჯვება“, „პირველი მაისი“), ფიზკომიტეტის წარმომადგენელთა და აქტივისტთა სხდომის ოქმები საქართველოსა და უკრაინის ფიზსაზოგადოებებს შორის სოცშეჯიბრების პირობების და პუნქტების ჩამოყალიბების და ხელშეკრულების გაფორმების შესახებ (რ-814; აღწ.1; საქ.6; ფურც.14-21). სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული, რომ უკრაინული ხელშეკრულებიდან პუნქტები მიღებულია ინსტრუქტორების, მწვრთნელების და ხელმძღვანელ პირთა საერთო კრებაზე. კიევში ხელშეკრულების გასაფორმებლად მივლინებული იქნა ლოხოვი (რ-814; აღწ.1; საქ.8; ფურც.25).

რა თქმა უნდა, ეს სპორტული ურთიერთობები შემდგომში გაგრძელდა და მოითხოვს სათანადო შესწავლასა და გამოკვლევებს.

აჭარის ცენტრალური არქივის თანამშრომელთა მიერ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის შესახებ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით არაერთი მოხსენება მომზადდა.

1982 წელს აჭარის ცსა უფროსი არქივისტის გ. ანდლულაძის მოხსენებაში „სახელმწიფო არქივის დოკუმენტური მასალები ხალხთა მეგობრობის ცოცხალი მატრიანე“ – ასახულია სოფლის მეურნეობის დარგში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმეგობრობის ამსახველი მაგალითები. მათ შორის უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის და საქართველოს სსრ აჭარის ასსრ ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიონის ანგისის კოლმეურნეობებს შორის. ამ მეგობრობის პატივსაცემად ბელოზერსკელებმა თავიანთ ერთ-ერთ მეურნეობას „ბატუმკი“ უწოდეს, ხოლო ხელვაჩაურელებმა „ბელოზერსკი“ (რ-89; აღწ.1; საქ.590; ფურც.7-8). აჭარის ასსრ ბათუმის (შემდგომში ხელვა-

ჩაურის) რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ფონდში დაცულია 1957 წლის გადანყვეტილება სოფ. ანგისის სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის სოფ. ანგისის „ბელოზერსკის“ სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ნოდების შესახებ (რ-18; აღწ.1; საქ.1006; ფურც.48).

ამ რაიონებს შორის თანამშრომლობის შედეგად ხელვაჩაურის რაიონის საბჭოთა მეურნეობების ფერმებში გაუმჯობესდა მსხვილფეხა პირუტყვისა და ღორის ჯიშობრივი შემადგენლობა, ბელოზერსკის მიწას კარგად შეეგუა ქართული ვაზის ჯიშები: „რქანითელი“ და „საფერავი“.

აჭარის ცსა ფონდში დაცულია სამამულო ომის პერიოდში აჭარის, რუსეთისა და უკრაინის მშრომელთა შორის ურთიერთმეგობრობის მასალებზე დაყრდნობით შედგენილი უფროსი არქივისტის, სამამულო ომის სხვადასხვა მედლის და ორდენის კავალერის ს. ტაბალუას მოხსენება (რ-89; აღწ.1; საქ.593, 1982წ).

1943 წელს აჭარის კომკავშირელები მნიშვნელოვანი საქმის ინიციატორებად გამოვიდნენ: მათ პირველებმა იკისრეს შეფობა გაენიათ დონბასის ქალაქ კრასნოლუჩის მაღაროელებისათვის. 1943 წლის დეკემბერში აჭარის ასსრ კომკავშირელების ძალისხმევით უკრაინაში გაგზავნილი იქნა 3 ვაგონი საჩუქარი. ციტრუსოვანთა ნაყოფი, თამბაქო, ჩაი, ხილი, საოჯახო საგნები, თბილი ნივთები და სხვა.

უკრაინის კპ(ბ) კრასნოლუჩის საქალაქო კომიტეტის და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანო გაზეთი „სტალინსკი ზაბოტი“ ამ ფაქტის შესახებ წერდა: „ქალაქ კრასნოლუჩის კომკავშირელები, ახალგაზრდები და ყველა მშრომელი მხურვალე მადლობას გიძღვნით თქვენ აჭარის კომკავშირელებს ძმური დახმარებისათვის“ (რ-89; აღწ.1; საქ.593; ფურც.5). მოხსენებაში დაწვრილებით არის ჩამოთვლილი აჭარის მოსახლეობის მიერ შეგროვილი საჩუქრების შემადგენლობა და რაოდენობა, ამავე მოხსენებაში მოყვანილია უკრაინელი მეომრის, უმცროსი სერჟანტის გ. ლონჩენკოს მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილი, რომელშიც იგი მადლობას უხდის აჭარის მცხოვრებლებს უკრაინაში გაგზავნილი საახალწლო საჩუქრისათვის. „ჩემს წერილს მაშინ ვწერ, როცა გმირული წითელი არმია ათავისუფლებს მშობლიური უკრაინის მიწა-წყალს. გაზეთ-

ში წავიკითხე თქვენი დახმარების შესახებ უკრაინელი მშრომელებისადმი და გული სიამაყით ამევსო. ჩემთვის ისე ძვირფასია მზიური საქართველო, როგორც მშობლიური უკრაინა. მე ისე ვაფასებ საქართველოს დიდი პოეტს შოთა რუსთაველს, როგორც მშობლიურ უკრაინელ პოეტს ტარას შევჩენკოს. მე ამას გწერთ როგორც უკრაინელი ხალხის შვილი – ასე მთავრდება ეს ამაღელვებელი წერილი ფრონტიდან.

აჭარის მშრომელთა დახმარება ამით არ დასრულებულა. დონბასელი მოსახლეობისათვის ომის წლებში ქობულეთისა და ხულოს რაიონის მშრომელებმა შეაგროვეს 8 921 კგ. კარტოფილი, 1 448 კგ. თამბაქო, 496 კგ. ნიგოზი, 302 კგ. ვაშლი, 131 კგ. ლობიო, 347 წყვილი ხელთათმანი და სხვა.

1944 წლის 30 იანვარს აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტმა სპეციალურ თათბირზე განიხილა საკითხი ომით დაზარალებული რუსეთისა და უკრაინის რაიონებისათვის სანაშენო პირუტყვის გამოყოფის შესახებ. ამ დადგენილებით აჭარმინსახკომისა და ცხოველდამზადების აჭარის რესპუბლიკურ კანტორას დაევალა ორგანიზაცია გაეწიათ დაზარალებული რაიონებისათვის 800 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოყოფის საკითხს.

დაზარალებული რესპუბლიკების, მათ შორის უკრაინის სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ ბათუმის რკინიგზის საორთქმავალო და სავაგონო დეპოს კოლექტივები; სკოლების, თეატრების, ბიბლიოთეკების დასაკომპლექტებლად და ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად აჭარის განათლების მუშაკები და მოსწავლეები მოსახლეობაში აგროვებდნენ წიგნებსა და სასწავლო ნივთებს; ომით დაზარალებულ რაიონებში აჭარიდან სამუშაოდ გაიგზავნა მედიცინის მუშაკები (რ-89; აღწ.1; საქ.593).

როცა აჭარა-უკრაინის ურთიერთობაზე საუბრობ, გვერდს ვერ აუვლი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ანგისის ბელოზერსკის სახელობის საბჭოთა მეურნეობასა და უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ბელოზერსკის კოლმეურნეობას შორის დამყარებულ მჭიდრო მეგობრობას ომის წლებში გამოწრთობილი ეს მეგობრობა შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. 1954 წელს ბელოზერსკის და ბათუმის რაიონებს შორის გაშლი-

ლი სოციალისტური შეჯიბრების და უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით უკრაინელმა კოლმეურნეებმა ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებს საჩუქრად გამოუგზავნეს 16 სული სანაშენო ღორი და ერთი სული საფურე (რ-18; აღწ.1; საქ.915; ფურც.54-55).

ამ ორ რაიონს შორის დამყარებული მეგობრობა სოციალისტური შეჯიბრების ფონზე კიდევ უფრო მტკიცდებოდა, ხდებოდა დელეგაციების საქმიანი გაცვლა და შეხვედრები.

სსრკ შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით 1972 წლის 23 ივლისს ხელვაჩაურის რაიონს ეწვია ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია. სტუმრებს შორის იყვნენ: ბელოზერსკის რაიონის რაიკომის მდივანი პ. მიხაილევსკი, ბელოზერსკის რაიონის წითელი დროშის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა „ინგულტი“-ს დირექტორი ვ. სტეცენკო, მებოსტნეობის ს/მეურნეობის დირექტორი ნ. სილენკო, საბჭოთა მეურნეობა

„ლიმანსკი“-ს პარტკომის მდივანი ა. ტრიფონოვი, ს/მეურნეობა „ბატუმსკი“-ს მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ე. შევჩენკო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ულიანიცკი. სტუმრებმა დაათვალიერეს რაიონი, გაეცნენ ქართველი მეგობრების მუშაობასა და ცხოვრებას. ამ შეხვედრისადმი მიძღვნილ აქტივისტთა კრებაზე მისალმებით გამომსვლელთა შორის იყვნენ როგორც სტუმრები, ასევე მასპინძლები. სტუმრებს მასპინძლის როლში მიესალმა და თავისი თავგადასავალი უამბო სალიბაურის ს/მეურნეობის მუშამ, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერმა უკრაინელმა უ. პირკოვამ, რომელიც 1932 წელს ვინიცის ოლქიდან სულ ახალგაზრდა ეწვია აჭარას და აქ დამკვიდრდა. ბელოზერსკელთა სტუმრობის შესახებ მასალები ფართოდ გაშუქდა გაზეთებში „საბჭოთა აჭარა“ (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ №146 – 27.07.1972წ. №164 – 23.08.1972წ.). კინოვიდეოფოტოფონო დოკუმენტების საცავში დაცულია ამ მოვლენის ამსახველი ფოტოდოკუმენტები.

1972 წელს კიდევ ერთი ღონისძიება მიეძღვნა ქართველი და უკრაინელი ხალხის მრავალწლიან მეგობრობას. 1972 წლის 21 ივლისს ბათუმის ზღვისპირა პარკში საზეიმოდ გაიხსნა უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას ძეგლი. უკრაინელი სკულპტორის ვრონსკის მიერ თეთრი მარმარილოსგან გამო-

ქერნილი პოეტის ძეგლი ბათუმს საჩუქრად გადასცეს უკრაინის სსრ კულტურის სამინისტრომ და კიევის ლესია უკრაინკას მემორიალურმა მუზეუმმა. ძეგლის საზეიმო გახსნას დაესწრნენ უკრაინიდან ჩამოსული დელეგაციის წევრები, აჭარის პარტიული და საბჭოთა მუშაკები, აჭარაში მოღვაწე მწერლები, ბათუმელები. აქვე იყვნენ აჭარაში სტუმრად მყოფი საფრანგეთის დელეგაციის წევრები. სტუმრებს შორის იმყოფებოდა ცნობილი უკრაინელი მწერალი ო. განჩარი და კიევის ლ. უკრაინკას მემორიალური მუზეუმის დირექტორი ლ. სკრიაბინსკაია. აღნიშნული მასალაც ფართოდ გაშუქდა ადგილობრივ პრესაში (გაზეთი „საბჭოთა ანარა“ №143 – 22.07.1972წ). დაცულია ფოტომასალა.

როდესაც მიმოიხილავ აჭარა-უკრაინის ურთიერთობას, შეუძლებელია ყურადღების გარეშე დატოვო ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრების შეგნებული წლები ამ ურთიერთობის შესწავლას და სამზეოზე გამოტანას მიუძღვნა. დაუღალავად ეძიებდა მასალას, წერდა, ქმნიდა მის ნაწარმოებებზე იდგმებოდა თეატრალური წარმოდგენები. მწერლისა და დრამატურგის ამირან შერვაშიძის პირადი ფონდი (რ-59) აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია დაცული და საკმაო მასალას შეიცავს ამ ორი ერის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობით დაინტერესებულ პირებისათვის.

ამირან შერვაშიძე დაიბადა 1914 წლის 5 მაისს ქ. ბათუმში. 1930 წელს ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სასცენარო ფაკულტეტზე. შემდეგ სასწავლებლად გადავიდა კიევში და 1931-1934 წლებში სწავლობდა კიევის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში. სამამულო ომმაც კიევში მოუსწრო. საჰაერო თავდასხმის დროს დაიჭრა და მოხსნილი იქნა სამხედრო აღრიცხვიდან. მიუხედავად ამისა აქტიურად აგრძელებდა მუშაობას სამხედრო ნაწილებში, ჰოსპიტალებში და მეომრებს ლექცია-საუბრებს უტარებდა. იქნებ, სწორედ უკრაინასთან ასეთი სიახლოვე გახდა საქართველო-უკრაინის ურთიერთობის შესწავლით მისი დაინტერესების მიზეზი.

შერვაშიძის პ/ფონდი (რ-59) მეტად მდიდარია ამ საკითხთან დაკავშირებული, როგორც ქალაქდისფუძიანი, ასევე ფოტოდოკუმენტებით. ფონდში დაცულია ნარკვევები და სტატიები, პიესები და ლექსები მიძღვნილი უკრაინელი პოეტების ლ. უკრა-

ინკას და ტ. შევჩენკოსადმი, კიევისადმი. ფონდი მდიდარია უკრაინაში მოღვაწე ქართველთა შესახებ მოკვლეული მასალებით.

1971 წელს, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოში, ფართოდ აღინიშნა უკრაინელი პოეტი ქალის ლ. უკრაინკას დაბადების 100 წლისთავი. საიუბილეო საღამოები გაიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ 7 მარტის ნომრის მთელი გვერდი დაეთმო პოეტის იუბილეს. საქართველოს მეგობარი პოეტი ქალის ხსოვნას მიეძღვნა ა. შერვაშიძის, გრ. აბაშიძის, დ. ნაცვალაძის, ლ. ასათიანის, ჯ. ქათამაძის, ი. ფრანკოს, გ. ლეონიძის ლექსები და სტატიები (აჭარის ცსა ბიბლიოთეკა, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ 1971წ. – №47; 49).

1971 წელს უკრაინაში ქ. როვნოში, გამართულ ლ. უკრაინკას საიუბილეო საღამოზე მიწვეული იყო ბათუმელი დრამატურგი ა. შერვაშიძე. საიუბილეო საღამოს შემდეგ გაიმართა მისი პიესის „ლესია უკრაინკა“-ს პრემიერა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად (ფონდი რ-59; აღწ.1; საქ.105; ფოტო 28-29). ქ. როვნოში გამართული პრემიერის შესახებ გაზეთ „საბჭოთა აჭარა“-ში (№70) 1971 წლის 8 აპრილს გამოქვეყნდა უკრაინის კომპარტიის როვნოს საოლქო კომიტეტის აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების გამგის ვლ. გაიბონიუკის წერილი. „უკვდავი ლესია“ – ასე უწოდეს ა. შერვაშიძის პიესას ადგილობრივმა ჟურნალისტებმა. ეს პიესა სიმღერაა არა მარტო ლესია უკრაინკაზე, არამედ უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე – ნათქვამია წერილში. პიესას ფართო გამომხატულება მოჰყვა. ნ. ოსტროვსკის სახელობის როვნოს საოლქო მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობი ვ. ტორბა თავის შთაბეჭდილებებს გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე აქვეყნებს (აჭარის ცსა ბიბლიოთეკა; გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, №42 – 28.03.1971წ.).

ა.შერვაშიძის როლი ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის განსამტკიცებლად და დასაახლოვებლად ჯერ კიდევ 1949 წელს იქნა აღიარებული და დაფასებული. კიევის საქალაქო კომიტეტმა 1949 წლის 4 დეკემბერს უკრაინის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ჩატარებული ლექციების კურსისათვის „ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის ისტო-

რიული ფესვები და გზები“ გამოუცხადა მადლობა (რ-59; აღწ.1; საქ.106; ფურც.1).

ა. შერვაშიძის პირად ფონდში დაცულია აგრეთვე მასალები (უკრაინაში, კოროსტენში დაკრძალული) წითელის არმიის მხედართუფროსის, წითელი დროშის ორდენის კავალერი ლუკიანე თაბუკაშვილის, არტილერიის გენერლის თავად ლევან იაშვილის (დაკრძალულია ვიდუბეცკის სასაფლაოზე), პეტრე ბაგრატიონისა და იმ ქართველთა ცხოვრების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ უკრაინასა და რუსეთში; სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, დრამატურგ ალ. კორნეიჩუკის დაბადების 70 წლისთავს მიუძღვნა ა. შერვაშიძემ სტატია „მოგონებათა ფურცლები“, რომელიც 1975 წლის 27 მაისს დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ №104 ნომერში.

1969 წელს კიევში ჩატარდა ქართული ლიტერატურის დეკადა. დეკადის დღეებში დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებს მიეკუთვნებოდა ვასილ კიკვიძის სახლ-მუზეუმის და ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის ძეგლის გახსნა. ღონისძიებებმა მეტად თბილ და სასიამოვნო ვითარებაში ჩაიარა. ამ დღეების ქრონიკაც სათანადოდ იქნა ასახული ამ. შერვაშიძის სტატიებში „ქართველი და უკრაინელი ხალხის ისტორიული და კულტურული ურთიერთობანი“, აღიბეჭდა ფოტოებზე (რ-59; აღწ.1; საქ.90, 96, 105).

1972 წელს წარმატებით შედგა ნიკოლაევსკის უკრაინული მუსიკალურ-დრამატული თეატრის გასტროლები ბათუმში (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ №123 –24.06.1972წ).

1983 წლის 4 დეკემბერს ქ. ბათუმში ლენინის ქ.№2 (კ. გამსახურდიას ქ.№2) მდებარე სახლზე საზეიმოდ გაიხსნა მემორიალური დაფა ქართული და უკრაინული წარწერით: „ამ სახლში ჩერდებოდა 1905, 1907, 1908, 1911-1912 წლებში დიდი უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა“. საზეიმო მიტინგზე ქართველ და უკრაინელ სტუმრებს შორის იყო მემორიალის ავტორი, უკრაინის სსრ სახალხო მხატვარი სკობლიკოვი (რ-59; აღწ.1, საქ.105; ფოტო 47).

აჭარის ცს არქივის ფონდებში (რ-89; აღწ.3; საქ.48-56) დაცულია ხარკოვის სახელმწიფო საისტორიო არქივში არსებული ბათუმისა და სოხუმის ოლქებში მრეწველობის განვითარების შესახებ დოკუმენტთა ფოტოასლები, რომლებიც მნიშვნელოვან

მასალას შეიცავს 1901-1914 წლებში ბათუმში მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

ეს მხოლოდ მცირე მიმოხილვაა აჭარის ცენტრალურ არქივში დაცული აჭარა-უკრაინის ურთიერთობის ამსახველი საარქივო დოკუმენტებისა. საარქივო ფონდები მეტ შესწავლას მოითხოვს. ქართველი და უკრაინელი ხალხის ისტორიულ წარსულსა და მეგობრულ ფესვებზე დამყარებულ კულტურულ ურთიერთობებს დასასრული არა აქვს. ეს მეგობრობა საუკუნეების წიაღიდან იღებს სათავეს და მომავალშიც გაგრძელდება. დღევანდელი კი ამ მეგობრობის ნათელი დადასტურებაა. ეს მეგობრობა ძლიერი იქნება მანამ, სანამ საქართველოსა და უკრაინის ქალაქებში ქუჩებსა და მოედნებს ეწოდება შვეჩენკოს, კიკვიძის, უკრაინკას, კიევის და თბილისის სახელები; პარკებსა და სკვერებს ამშვენებს აკ. წერეთლის, ტ. შვეჩენკოს, ლ. უკრაინკას, დ. გურამიშვილის, ვ. კიკვიძის ძეგლები. ჩვენი ქვეყნების თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ და უკრაინელ გმირთა საფლავები.

მსოფლიოში იშვიათია ქვეყნები, რომელთა სოციალურ-კულტურული განვითარება, ისტორიული წარსული და აწმყო ისე ჰგავდეს ერთმანეთს, როგორც საქართველოსა და უკრაინის ისტორია. სტატიაში – აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალების საფუძველზე მიმოხილულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. აღნიშნული საკითხები უხვადაა წარმოდგენილი ამირან შერვაშიძის პირად ფონდში.

Maia Rurua

***South-West Georgia (Ajara) and Ukraine historical cultural ties
according to achival materials
Summary***

In the world are rare countries, whose social-cultural development, historical past and present so resemble to each other, as history of Georgia and Ukraina. In article based on documentary materials of Archives Administration is discussed about main issues of South-West Georgia and Ukraina relations.

**აჭარის ხელისუფლება და 1937 წლის რეპრესიები
(საქართველოს არქივებსა და წიგნსაცავებში დაცული
დოკუმენტების მიხედვით)**

გასული საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტური რეჟიმის განმტკიცების, მოსახლეობის დაშინების და ერთგულებისათვის საბჭოთა კავშირში მასობრივი რეპრესიები დაიწყო, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით 1937-1938 წლებში ამუშავდა. ათასობით უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს, მილიონობით გადაასახლეს და გაგზავნეს „გულაგის“ ბანაკებში, სადაც უმრავლესობამ მოწამეობრივი აღსასრული ჰპოვა. რეპრესიებმა მოიცვა მთელი საბჭოეთი, ის შეეხო მოსახლეობის ყველა ფენას. განსაკუთრებით დაზარალდა მშრომელი ხალხი და ინტელიგენცია.

1937-1938 წლებში აჭარაში ისევე, როგორც მთელს საქართველოში, უმკაცრესი რეპრესიები განახორციელეს. ამ საშინელ მოვლენებს შეენირა სოციალისტური აჭარის პირველი მთავრობა.

ზოგადად აჭარის რეპრესიების თემა ახალი არ არის, მასზე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხით არაერთმა ადამიანმა იმუშავა (ირმა შერვაშიძე, ნოდარ ცეცხლაძე, ნესტან ცეცხლაძე, ლადო მჟავანაძე, ვალერი ჩხარტიშვილი, მანანა მიქელაძე...).



სსრკ-ს რუკა გულაგის ბანაკებით

www.radiotavisufleba.ge